პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 191 (5292) | კვირა, 21 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

მაღალი და საპატიო სახელწოდებაა სსრ კავშირის მოქალაქე („პრავდის“ მეთაური).

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია: საინფორმაციო ცნობები კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის შესახებ და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს სხდომის შესახებ. დღიურები კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს გაერთიანებული სხდომისა და კავშირის საბჭოს 19 აგვისტოს სხდომის შესახებ (1-ლი და მე-2 გვ.).

ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნის შესახებ (1-ლი გვ.).

მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის შესახებ (1-ლი გვ.).

იაპონიაში დაპატიმრებული საბჭოთა მეზღვაურების წამება (1-ლი გვ.).

პარტიის რეზერვთან მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს (მე-3 გვ.).

ი. ვიქტოროვი — ფაშისტური იტალიის შავი დღეები (ფელეტონი, მე-3 გვ.).

მაღალი და საპატიო სახელწოდებაა სსრ კავშირის მოქალაქე

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე გუშინ ერთხმად დაამტკიცა კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“.

ეს კანონი დამყარებულია სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაზე. იგი აწესებს ერთიან მოქალაქეობას ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეთათვის. იგი ზუსტად განსაზღვრავს, თუ ვინ არის სსრ კავშირის მოქალაქე, და ადგენს სსრ კავშირის მოქალაქედ მიღებისა და ამ მოქალაქეობიდან გასვლის წესს.

კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი სახელმწიფოსათვის, არამედ შორს მისი ფარგლების გარეთაც. ტყუილად კი არ ხდებოდა ამ კანონის განხილვა უმაღლეს საბჭოში ასეთი აღფრთოვანებით, ასეთი პატრიოტული აღტყინებით. უდიდესი სიამაყის გრძნობით იყო აღსავსე ყველა გამოსული დეპუტატის სიტყვები. განხილვა და დამტკიცება კანონისა „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ — ეს არის ახალი საყოველთაო - სახალხო და საერთაშორისო ზეიმი საბჭოთა დემოკრატიისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ახალი ძალით ადასტურებს ყველა მოქალაქეთა სრულ თანასწორობას, დამოუკიდებლად ეროვნებისა და რასისა, დამოუკიდებლად კანის ფერისა და ენისა, ამყარებს ყველა რესპუბლიკის მოქალაქეობის ერთიანობას. იგი ამას აკეთებს ისეთ დროს, როდესაც მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს ფაშიზმი, რომელიც ტალახში სვრის ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ნაშთს; როდესაც ძველი პარლამენტური სახელმწიფოები, უძლურნი, სთმობენ ფორმალური თანასწორობის პოზიციებს; როდესაც გაუგონარი ცინიზმით ცხადდება ხალხებზე, პიროვნებაზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნებებზე ძალადობის შავრაზმული, მხეცური დეკლარაციები.

სიამაყის კანონიერი გრძნობით ამტკიცებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, თავისუფალი საბჭოთა ხალხის რჩეულნი, საბჭოთა მოქალაქის მაღალ და საპატიო სახელწოდებას. კაპიტალისტურ სამყაროში კი ბურჟუაზიულ მთავრობათა დანაშაულებრივი წაყრუებით, რომელთაც თავი მოაქვთ „დამოუკიდებლობის“, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა“ თავისი, დიდი ხნის დახავსებული დეკლარაციებით, „თავისუფლებათა ქარტიებით“, აბისინიის ხალხს ართმევენ თავისუფლებას და ხდიან იტალიის ბურჟუაზიის მსახურად და მონად, ავსტრიის ხალხი ჰკარგავს მოქალაქეობის ყველა უფლებას და ექცევა ბერლინის ფინანსიურ ავან-ჩავანთა მონობაში, ესპანეთისა და ჩინეთის ხალხთა მოქალაქეობრივ უფლებებს თავხედურად და მოურიდებლად ფეხქვეშ სთელავენ ინტერვენტები, ფაშისტი დამპყრობნი, და იგივე ბედი ემუქრება ჩეხოსლოვაკ ხალხს.

რომელი ხალხები არ თრთიან თავისი ბედიღბლისათვის კაპიტალისტურ სამყაროში? რომელ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ გადაიქცა თვით სიტყვა „მოქალაქე“ სამართლიანობისა და ადამიანობის ელემენტარული ცნებების დაცინვად?

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა „მოქალაქენი“ სულს ღაფავენ ქრონიკულ უმუშევართა საშინელ ცხოვრებაში და ღრმა შიშით შესცქერიან თავიანთი შვილების მომავალს. უმდიდრესი ქვეყნების „მოქალაქენი“ განწირული არიან შიმშილით სიკვდილისათვის, უბადრუკი სიბერისათვის, უმწეო არსებობისათვის განძეულობათა შორის, რომელთა ყიდვა არავის შეუძლია.

დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ იხსნა საბჭოთა კავშირის ხალხები კრიზისების საშინელებათაგან, სიღატაკისა და უმუშევრობისაგან. ბოლშევიკთა პარტიამ მუშათა კლასის დიდი სტრატეგების **ლენინისა** და **სტალინის** წინამძღოლობით იხსნა საბჭოთა კავშირის ხალხები ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, საერთაშორისო ყაჩაღობისაგან. ჩვენს დიად სამშობლოში ფრიალებს კომუნიზმის წითელი დროშა, ზეიმობს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

სიძულვილით, მაგრამ შიშითაც და უნებური პატივისცემითაც შემოსცქერის საერთაშორისო ბურჟუაზია სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც თავისი მრეწველობის მოცულობით, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით, ხალხის სიმდიდრით უკვე გამოვიდა ერთერთ პირველ ადგილზე მსოფლიოში.

საბჭოთა მოქალაქე—ეს არის დიადი სოციალისტური მშენებლობის სრულუფლებიანი შემოქმედი და მონაწილე. რუსი ადამიანები, უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები, ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, კაზახები, ყირგიზები და კიდევ მრავალნი სხვანი ერთსულოვნად და სიხარულით აგებენ სოციალიზმის დიად შენობას. თვითეულს უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, თავისი ენა — და ყველანი ერთად, როგორც საბჭოთა მოქალაქენი, უსაზღვროდ ერთგულნი არიან საერთო დედა-სამშობლოსი — დიადი საბჭოთა ქვეყნისა.

თავისუფალი საბჭოთა მოქალაქე! იგი თავის ზურგს უკან გრძნობს მძლავრ სახელმწიფოს, რომელიც ყოველ მომენტში აღდგება მის დასაცავად, თუ თავხედი მტერი გაბედავს საბჭოთა მოქალაქის უფლებათა ხელყოფას. მძლავრი გულისწყრომით აღენთო მთელი საბჭოთა ქვეყანა, ყველა საბჭოთა მოქალაქე, როდესაც იაპონელმა სამურაებმა სცადეს თავიანთი ბინძური თათით შეხებოდნენ საბჭოთა სამფლობელოებს.

მოქალაქე... მეფის რუსეთი არასოდეს არ იცნობდა ამ სიტყვას. იგი ძველთაგანვე იყოფოდა ბატონებად და მონებად, და მხოლოდ დიდი ფულის გაღებით ყიდულობდნენ ჯიბესქელი ვაჭრები „საპატიო მოქალაქეობას“. რუსეთის მუშათა კლასმა, რომელსაც ხელმძღვანელობს **ლენინ - სტალინის** პარტია, ყველა მშრომელი გახადა ნამდვილ მოქალაქედ.

სოციალიზმის გამარჯვებამ მისცა საბჭოთა მოქალაქეს ის, რის გარეშეც ეს სახელწოდება ფუჭ ხმად რჩება კაპიტალისტურ ქვეყნებში. სსრ კავშირის მოქალაქე ძლიერი ადამიანია. იგი ძლიერია თავისი ქვეყნის სიმდიდრით, რომელიც ეკუთვნის ხალხს, მხოლოდ ხალხს. იგი ძლიერია გარანტირებული შრომის თავისი უფლებით, დიად შემოქმედებითს შრომაში თავისი უშუალო მონაწილეობით. იგი ძლიერია თავისი განათლების უფლებით, თავისი შვილებით, რომელთა წინაშე გახსნილია ფართო გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ. იგი ძლიერია თავისი მატერიალური უზრუნველყოფით. იგი ძლიერია თავისი მხურვალედ საყვარელი წითელი არმიით, ძლიერია თავისი **ლენინ-სტალინის** პარტიით, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა შეურყეველი კავშირით.

საბჭოთა საამაყო მოქალაქეობა— იგი ჩვენ დღესასწაულებსა და ზეიმებშია, ბედნიერი ხალხის მხიარულ სიმღერებში, სახალხო მომღერალთა და მთხრობელთა ბრძნულ თქმულებებში. იგი ჩვენი სამშობლოს მრისხანე თავდაცვაშია. იგი სასიხარულო სტახანოვურ შრომაშია. იგი საყოველთაო-სახალხო სწავლებაშია.

მსოფლიოში არ არის სხვა ქვეყანა, რომელშიაც ასე განვითარებული იყოს პირადი ღირსების გრძნობა. საბჭოთა კავშირში ქედს არავინ იხრის. სიტყვა „მოქალაქე“ გახდა მიმართვის ფორმად, რომელიც მოასწავებს თანასწორთა ურთიერთპატივისცემის უფლებას. ეს არის საბჭოთა დემოკრატია ყოფაცხოვრებაში.

როგორც პატივზე და მაღალ ღირსებაზე ლაპარაკობდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სსრ კავშირის მოქალაქის სახელწოდებაზე. ამ სახელწოდების აყრა — ეს უმძიმესი სასჯელია. საბჭოთა ხალხი ულმობლად აძევებს თავისი წრიდან სამშობლოს მოღალატეებს, გამცემლებს, ბურჟუაზიის აგენტებს.

დიდია პატივი — იყო სსრ კავშირის მოქალაქე, ატარებდე ამ მაღალ სახელწოდებას. დიდია სიხარული — მონაწილე იყო სოციალისტური მშენებლობისა საბჭოთა ქვეყანაში. დიდია სიამაყე — ცხოვრობდე და მუშაობდე იმ ქვეყანაში, რომლის პირველი, ყველაზე საყვარელი მოქალაქეა ამხანაგი **სტალინი!**

„პრავდის“ მოწინავე, 20/VIII.

ჩეხოსლოვაკიის პრესა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შესახებ

პრაღა, 19 აგვისტო (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა და საზოგადოებრიობა კვლავ შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას. პრესა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს „სსრ კავშირის სასამართლოს წყობილების დებულების“ საკითხებისა და აგრეთვე „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონისადმი. მთელი რიგი გაზეთები ვრცელ ამონაწერებს ათავსებენ „სასამართლოს წყობილების დებულებიდან“. გაზეთები „რუდე პრავო“. „როტე ფანე“ და „გალო ნოვინი“ აქვეყნებენ „დებულების“ სრულ ტექსტს. საკდესის ცნობას „დებულების“ დამტკიცებისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ გაზეთები ბეჭდავენ შემდეგი სათაურებით: „საბჭოთა პარლამენტი ამტკიცებს კანონს ახალი სასამართლოს წყობილების შესახებ“, „საბჭოთა სასამართლო ნამდვილად სახალხო სასამართლოა“, „სოციალისტური სამართალწარმოება იცავს პიროვნების თავისუფლებასა და ხელუხლებლობას“ და სხვ. ამავე დროს ყურადღებას უთმობენ მეორე სესიის სხვა გადაწყვეტილებასაც. „პრავო ლიდუ“ და „ნაროდნი ლისტი“ სპეციალურ წერილებს უძღვნიან საბჭოთა კავშირის თავდაცვის დაფინანსების საკითხს სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის შესახებ

გუშინ, 20 აგვისტოს, დღის 1 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეოთხე შეერთებული სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შეუდგა სესიის დღის წესრიგის მეხუთე საკითხის — „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვას.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი დეპუტატი **ო. ი. შმიდტი.**

მოხსენების დამთავრების შემდეგ დეპუტატმა **ბ. ა. დვინსკიმ** შემოიტანა წინადადება — მოხსენების გარშემო კამათი არ გაიხსნას და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის მიერ შემოტანილი კანონპროექტი დამტკიცებულ იქნას მთლიანად, როგორც ისეთი, რომელიც სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას.

თავმჯდომარემ — დეპუტატმა **ნ. მ. შვერნიკმა** პალატებს გააცნო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** განცხადება, რომ მთავრობა ეთანხმება „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“ კანონის პროექტს, რომელიც შემოტანილია სესიაზე განსახილველად ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის მიერ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის „კანონს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ“. პალატობრივ ცალ-ცალკე კენჭის ყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს „კანონს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ“.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის სესიის დღის წესრიგის მეექვსე საკითხის — „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ“ კანონ-პროექტის განხილვაზე, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის მიერ.

„ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის“ კანონის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრი დეპუტატი **ა. ი. უგაროვი.**

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს სხდომის შესახებ

გუშინ, 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მერვე სხდომა.

თავმჯდომარეობს—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღის წესრიგში დგას კამათი „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ“ კანონის პროექტის გამო გაკეთებული მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **გ. ი. ივანოვი** (ურმარის ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ) **ა. ი. გეკმანი** (გრიმის ოლქი, ვოლგის მხარის გერმანელთა ასსრ), **ს. ე. ინკიჟეკოვი** (სარალინის საარჩევნო ოლქი, ხაკასის ავტონომიური ოლქი), **ჩ. მ. კანდარაკოვი** (ონგუდაის საარჩევნო ოლქი, ოიროტიის ავტონომიური ოლქი), **ს. ს. ევმენოვა** (ბიხოვის ოლქი, ბელორუსიის სსრ), **გ. შ. შამსუტდინოვი** (ზელიონო-დოლსკის ოლქი, თათრეთის ასსრ), **ი. ა. სმაკულოვი** (ოგრახოვის ოლქი, უდმურტთა ასსრ), **მ. ა. ჩემბულატოვი** (არდატოვის ოლქი, მორდვის ასსრ), **ა. ი. ფედოროვი** (სერნურის ოლქი, მარიისკის ასსრ) და **მ. ს. ბატალოვა** (კომი-პერმიაცკის ნაციონალური ოლქი).

კამათის დამთავრების შემდეგ ეროვნებათა საბჭომ მოისმინა მომხსენებლის — დეპუტატ **ა. ი. უგაროვის** საბოლოო სიტყვა.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის კანონის“ კენჭისყრასა და დამტკიცებაზე. ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს „კანონს ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ.

დეპუტატ **გ. ა. პეტროვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭომ მიიღო დადგენილება — მოისმინოს და განიხილოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სესიის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, აგრეთვე დღის წესრიგის მერვე საკითხი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია პირველსა და მეორე სესიებს შორის და რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის დღიური

გუშინ, 20 აგვისტოს, დღის პირველ საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეოთხე გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი,** რომელიც სხდომას თავმჯდომარეობს, „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“ კანონის პროექტის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრს დეპუტატს **ო. ი. შმიდტს.**

— ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ,—ამბობს ამხ. შმიდტი,—შემოიტანა პროექტი კანონისა „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“ და დამავალა მოვახსენო ეს კანონპროექტი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

რატიფიკაცია ეწოდება უმაღლესი ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცებას. რატიფიკაცია არის აქტი, რომელიც საბოლოოდ ძალას აძლევს ხელშეკრულებას, რომელიც დამუშავებული და ხელმოწერილია სახელმწიფოთა რწმუნებულების მიერ. საბჭოთა კავშირში, კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი ამტკიცებს.

შემოტანილი პროექტი კანონისა აზუსტებს, თუ სახელდობრ რომელი ხელშეკრულებები უნდა იქნას რატიფიცირებული. აქ შედის პოლიტიკური ხასიათის უაღრესად მნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი, სახელდობრ: საზავო ხელშეკრულებანი, ხელშეკრულებანი აგრესიისაგან ურთიერთთავდაცვის შესახებ, ხელშეკრულებანი ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ. შეიძლება არსებობდეს სხვა სახის ხელშეკრულებებიც, როგორც, მაგალითად, სავაჭრო, რომელთა დადების დროს მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ხელშეკრულებათა უაღრესი მნიშვნელობის გამო, ისინი რატიფიკაციისათვის წარედგინება თვითეული მოლაპარაკებული სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. დანარჩენი — სამეურნეო და სხვა ხელშეკრულებანი, რომელთა დადების დროს არ იქნება დადებული შემდგომი რატიფიკაციის პირობა, ამას არ საჭიროებენ და შეიძლება დამტკიცებულ იქნენ საბჭოთა მთავრობის—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო წესით. ასეთები შეიძლება იყოს, მაგალითად, სარკინიგზო და საფოსტო კონვენციები და სხვ.

დასასრულ, კანონის პროექტის მე-3 მუხლი გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულებათა დენონსაციაც, ე. ი. მათი ძალადაკარგულად გამოცხადებაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერვე ხდება. ხელშეკრულების ამგვარი გაუქმება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, იმ ორ მხარის ურთიერთშეთანხმებით, რომლებმაც ეს ხელშეკრულება დასდეს ან კიდევ როდესაც თვით ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ მხარეებს უფლება აქვთ, ჩვეულებრივ, განსაზღვრული ვადით ადრე განაცხადოს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

ხელშეკრულების რატიფიკაციამ უფრო მეტი ძალა უნდა შეჰმატოს მას და უნდა გააძლიეროს ვალდებულებათა შესრულების გარანტია.

დეპუტატი ო. ი. შმიდტი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

იაპონიაში დაპატიმრებული საბჭოთა მეზღვაურების წამება

იმის გამო, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, ოფიციალური ცნობები მიიღო იაპონიაში დაკავებულ გემ „რეფრიჟერატორ I“-ის საბჭოთა მეზღვაურებისადმი არაადამიანური მოპყრობის შესახებ, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ იაპონიაში ა.-წ. 16 აგვისტოს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა:

„1. სსრ კავშირის ხელისუფლების სათანადო წარმომადგენლებისათვის საბჭოთა გემ „რეფრიჟერატორ I“-ის, კაპიტანისა და ეკიპაჟის ჩვენებებიდან, იმ გემისა, რომელმაც ლაპერუზის სრუტეში ავარია განიცადა და რომელიც იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ა.-წ. 31 მაისს დააკავეს და ვაკანაის ნავსადგურში წაიყვანეს, აგრეთვე ამ პირთა სამედიცინო შემოწმებიდან უდაო სიცხადით გამომდინარეობს, რომ დაკითხვის დროს იაპონიის თანამდებობის პირნი, რომლებიც ამ გემის ავარიის გარემოებათა გამოძიებას აწარმოებდნენ, არაადამიანურად მოეპყრნენ საბჭოთა მოქალაქეებს.

ოცდახუთ კაცს გემის ეკიპაჟის შემადგენლობიდან, მათ შორის მის კაპიტანს ბიკოვსკისაც, იაპონიის თანამდებობის პირებმა სცემეს. კაპიტან ბიკოვსკის ა.-წ. 4 ივნისს საათნახევრის განმავლობაში სცემდნენ ვაკანაის პოლიციის უფროსის თანაშემწის ოკა კენზოს თანადასწრებით. განსაკუთრებით არაადამიანური იყო მოპყრობა ეკიპაჟის დაპატიმრებული წევრების ვ. ნ. ლობანოვის, ა. ნ. ლიუბისა და ფ. ო. დრატოვანისადმი. ამ პირებს არაერთხელ, ხშირად გონების დაკარგვამდე, სცემდნენ ჯოხებით, მუშტებითა და ფეხებით და აიძულებდნენ საათობით ყოფილიყვნენ დაჩოქილი მაღლა აწეული და შეკრული ხელებით. უმტვრევდნენ მათ ხელებს, ფეხებსა და თითებს, ჰგლეჯდნენ თმებს და აწამებდნენ ელექტრონის დენით.

გამორკვეულია, რომ ყველა ეს ზომები გამოყენებულ იყო იმ მიზნით, რომ იძულებულნი გაეხადათ საბჭოთა მოქალაქენი მიეცათ იაპონიის პოლიციისათვის ცნობები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალთა მდგომარეობისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობის შესახებ.

გადაჭრით აცხადებს რა პროტესტს საბჭოთა მთავრობის სახელით ამ გაუგონარ და უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ, სრულუფლებიანი წარმომადგენლობა დაჟინებით მოითხოვს იაპონელთა ხელისუფლების მიერ სასწრაფოდ გამორკვევას და ამ საქმეში დამნაშავე პირების, კერძოდ, ბ. ოკა კენზოს სასტიკ პასუხისგებაში მიცემას. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა უფლებას იტოვებს სათანადო გარემოებათა გამორკვევის შემდეგ დაუბრუნდეს იაპონიის ხელისუფალთა მოქმედებით საბჭოთა მოქალაქეებისადმი მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხს“. (საკდესი).

ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნის შესახებ

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 209. 1938 წლის 16 აგვისტო მოსკოვი.

1. დათხოვნილ იქნას მუშურ-გლეხური წითელი არმიის, შინსახკომის სასაზღვრო და საშინაო ჯარების რიგებიდან გრძელვადიან შვებულებაში ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა, რომელმაც დაამთავრა განუწყვეტელი სამსახურის დაწესებული ვადები:

ა) 2 წლის ვადიანი სამსახურის ნაწილებიდან—1936 წელს გაწვეულნი;

ბ) 3 წლის ვადიანი სამსახურის ნაწილებიდან—1935 წელს გაწვეულნი;

გ) უმაღლესი განათლების მქონე პირნი—1937 წელს გაწვეულნი, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა თადარიგის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სახელწოდებაზე.

2. დათხოვნა მოხდეს:

ა) მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახმელეთო და საჰაერო ძალებიდან ა.-წ. 20 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე;

ბ) შინსახკომის სასაზღვრო და საშინაო ჯარებიდან 1938 წლის 30 დეკემბრისათვის.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარიაში, გუნდებში, რაზმებსა და დივიზიონებში.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ვოროშილოვი

მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის შესახებ

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 210 1938 წლის 16 აგვისტო მოსკოვი

1. გაწვეულ იქნას—ა.-წ. 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში—მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში 1917 წელს დაბადებულ მოქალაქეთა კონტინგენტი მთლიანად, 1918 წელს დაბადებულთა კონტინგენტის ნახევარი, აგრეთვე უფროსი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადადების ვადები.

2. 1908 წელს დაბადებული მოქალაქენი რომლებიც წინათ ვადის გადადებით სარგებლობდნენ, გაწვევისაგან განთავისუფლებულ იქნან და გადაირიცხონ პირველი რიგის თადარიგში.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ვოროშილოვი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კურსების მსმენელთა გამოშვება

20 აგვისტოს მოხდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კურსების მსმენელთა საზეიმო გამოშვება. სხდომა გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. კ. ბარიგიანმა.

პარტიული კურსების მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კურსების გამგე ამხ. ა. ბოჟაძე, რომელმაც აღნიშნა კურსების უდიდესი მნიშვნელობა ახლად დაწინაურებული ხელმძღვანელი პარტიული კადრებისათვის.

ორთვიანი პარტიული კურსები დაამთავრა რაიკომების 50 მეორე და მესამე მდივანმა და საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების 86 ინსტრუქტორმა. გარდა ამისა, თბილისში ორკვირეული პარტიული კურსები დაამთავრა პარტკომის 574 მდივანმა და პარტორგმა. აქედან რაიონებიდან მოვლინებული იყო 174 კაცი.

მსმენელებს შექმნილი ჰქონდათ ყოველგვარი პირობები თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. ისინი მთელი მონდომებით იბრძოდნენ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. კურსებზე იკითხებოდა ისეთი საგნები, რომელთა გავლამ დიდად შეუწყო ხელი მათს შეიარაღებას კულტურულ-პოლიტიკური ცოდნით. მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას დათმობილი ჰქონდა 60 საათი, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას—120 საათი, გეოგრაფიას—70 და ა. შ.

თითქმის ყველა მოვლინებული ამხანაგი ენერგიულად იბრძოდა იმისათვის, რომ განეხორციელებინა დიდი სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე მოცემული ლოზუნგი ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ. მოწინავე მსმენელები იყვნენ: ჯაჯუა, ზანგურაძე, ჭახნაკია, ასათიანი, დონაძე, ბარამიძე, მიმინოშვილი, ნიშნიძე, შათირიშვილი, ბეგიზოვი და სხვები.

შემდეგ სიტყვით გამოდის კურსების მსმენელი, საქ. კ. პ. (ბ) ქვემოსვანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ა. მენაბდე,—არა არის რა იმაზე სასიხარულო, — ამბობს ის, —ვიდრე ის, რომ ეკუთვნოდე პროლეტარიატის პარტიას, ლენინ-სტალინის დიად პარტიას. შემდეგ ის ლაპარაკობს ახალი კადრების დაწინაურებაზე რომლებიც უაღრესად ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა. ვუბრუნდებით რა ჩვენს ადგილებს, სთქვა ამხ მენაბდემ,— საბჭოთა პატრიოტიზმის სიამაყის გრძნობით აღსავსენი, კიდევ მეტი შეუპოვრობით ვიბრძოლებთ ხალხის საზიზღარი მტრების ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა ნაბოლარების ბოლომდე მოსპობისა და განადგურებისათვის.

შემდეგ გამოდის ამხ. ჯილიშვილი —საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი. ამ კურსებმა საშუალება მომცა,—ამბობს ის, — ამემაღლებინა ჩემი თეორიული და პოლიტიკური ცოდნის დონე.

— ჩვენ ახალი დაწინაურებული კადრები ვართ — ამბობს ამხ ბარამაშვილი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის ინსტრუქტორი — გვესაჭიროებოდა დიდი დახმარება ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში. კურსებმა დიდად აამაღლა ჩვენი თეორიული ცოდნა. რასაც მთლიანად გამოვიყენებთ პრაქტიკულ მუშაობაში. ჩვენ კიდევ უფრო უნდა შევიწყოთ ხელი ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანების, წარმოების საუკეთესო სტახანოველების მიღებას პარტიის რიგებში.

ყველა კურსდამთავრებული დიდი სიამაყით უბრუნდება თავის სამუშაო ადგილს. ეჭვს გარეშეა ისინი ყველანი მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას უკლებლივ მოახმარენ კომუნიზმის დიად საქმეს.

საზეიმო სხდომამ მქუხარე ტაშის გრიალში მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

პარტიული კურსების მსმენელთა საზეიმო გამოშვებას ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. კოჩლამაზაშვილი.

კარტოფილის ამოღებაზე მომუშავე ტრაქტორისტებისა და მანქანის წამყვანთა შრომის ანაზღაურება

საკავშირო მიწსახკომი ურჩევს კოლმეურნეობებს დაადგინონ იმ ტრაქტორისტებისა და მანქანის წამყვანთა შრომის ანაზღაურებისა და მათთვის ჯილდოს მიცემის ახალი წესი, რომელნიც კარტოფილის ამოსაღები ორმწკრივი სატრაქტორო მანქანებით მუშაობენ. დღეში 2,5 ჰექტარი კარტოფილის ამოღებისათვის ტრაქტორისტს თვითეულ ჰექტარზე დაერიცხება 1,6 შრომადღე, ხოლო მანქანის წამყვანს 1,2 შრომადღე. 2,5 ჰექტარის გადამეტებით თვითეულ ჰექტარზე ტრაქტორისტს დაერიცხება 2,4 შრომადღე, ხოლო მანქანის წამყვანს—1,8 შრომადღე.

იმ ტრაქტორისტისა და მანქანის წამყვანისათვის, რომლებიც 35 ჰექტარზე მეტ კარტოფილს ამოიღებენ (20 კალენდარულ დღეზე ნაკლებ ვადაში) უნდა მიეცეს ჯილდო-წანამატი. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესია

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 20 აგვისტოს შეერთებული სხდომის დღიური

(დასასრული)

საერთაშორისო ვალდებულებანი ყოველთვის როდი სრულდება. განსაკუთრებით ენერგიულ მოქმედებას შეუსრულებლობის, ცალმხრივი დარღვევისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა უხეში დარღვევის მხრივ, ანვითარებენ ჩვენს თვალწინ ფაშისტთა აგრესიული მთავრობანი. ისინი ხშირად არც კი ცდილობენ რომელიმე ხრიკით დაფარონ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება მათთვის უბრალო ქაღალდის ნაგლეჯია, რომლის დახევაც ყოველთვის შეიძლება.

ასე, მაგალითად, იაპონიამ მონაწილეობა მიიღო დამუშავებაში და 1922 წლის 6 თებერვალს რატიფიკაცია მოახდინა ეგრეთწოდებული 9 სახელმწიფოს ვაშინგტონის ხელშეკრულებისა „ჩინეთის მიმართ მიღებული პოლიტიკის პრინციპების შესახებ". ამ ხელშეკრულების პირველი მუხლი აღნიშნავს, რომ შეთანხმების დამდები სახელმწიფოები თანახმანი არიან „პატივი სცენ ჩინეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიალურსა და ადმინისტრატიულს ხელშეუხებლობას". საქმით კი იაპონელთა სამხედრო ხროვა ჩინეთის ტერიტორიაზე შეიჭრა და ჩინეთის ტერიტორიის დაპყრობილ ნაწილებში თავისი კაცების ტიკინებისებური მთავრობები დააყენა. იგი ჩინეთში, ომის გამოუცხადებლად, ნამდვილ სისხლისმღვრელ ომს აწარმოებს და ყუმბარებს უშენს მშვიდობიან მოსახლეობას. მართალია, იაპონია ანგარიშში მოსტყუვდა. ჩინეთის დიდ ხალხს არ შეეშინდა აგრესორისა და იგი მამაცურად იცავს თავის ქვეყანას. მაგრამ აგრესორი ყოველთვის როდი ღებულობს ასეთ პასუხს. გერმანიამ 1936 წლის 11 ივლისს, ავსტრიის დაპყრობამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე მოახდინა მასთან დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობა ავსტრიის სუვერენიტეტს სცნობს და ვალდებულებას კისრულობს არ ჩაერიოს მის შინაურ წყობილებაში არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ. 1938 წლის 11 მარტს ღამით კი დამოუკიდებელმა ავსტრიამ შესწყვიტა არსებობა და იგი გერმანიის ფაშიზმის ჩექმის ქუსლქვეშ მოექცა.

სხვა ქვეყნებთან ერთად, გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ 1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში დასდეს ეგრეთწოდებული ბრიან-კელოგის პაქტი ომზე, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღზე, ხელის აღების შესახებ. ამან ვერ შეაჩერა გერმანია და იტალია ესპანეთში უხეშად შეჭრისა და მის შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევისაგან.

მართალია, აგრესორები აქაც მოსტყუვდნენ ანგარიშში. გმირმა ესპანელმა ხალხმა მთელს მსოფლიოს დაანახვა თავისი დამოუკიდებლობის დაცვის მტკიცე ნებისყოფა და შეუდრეკელი ენერგია, რაც მთელი მოწინავე კაცობრიობის აღტაცებასა და თაყვანისცემას იწვევს.

შემდეგ ამხ. შმიდტს მოჰყავს ბურჟუაზიული ქვეყნების მიერ ერთა ლიგის პაქტის დარღვევის ფაქტები და ამბობს:

— საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის ბრძოლა და ხელშეკრულებათა დაცვა. ეს არაერთხელ განუცხადებია მშვიდობიანობისათვის ჩვენს ბრწყინვალე მებრძოლს, სახალხო კომისარს მაქსიმე მაქსიმეს-ძე ლიტვინოვს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

— საერთაშორისო ხელშეკრულება,—განაგრძობს ამხ. შმიდტი,—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებული,—ფარატინა ქაღალდი როდია. ჩვენს ქვეყანას არასოდეს, არც ერთხელ არ დაურღვევია მის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებანი. ჩვენს მიერ დადებული ხელშეკრულებანი ურღვევია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენს პოლიტიკას წარმართავს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ხოლო სტალინური სიტყვა მტკიცეა. **(მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** მეორე კიდევ ჩვენი ხელშეკრულებანი ურღვევია იმიტომ, რომ ჩვენში არ შეიძლება იცვლებოდეს მთავრობის ხაზი ან შეიცვალოს მუშურ-გლეხური მთავრობა რომელიმე სხვა მთავრობით. ეს შეუძლებელია მოხდეს, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა სამუდამოდ გაიმარჯვა.

ჩვენი ხელშეკრულებანი ურღვევია იმიტომ, რომ ჩვენ მშვიდობიანი, მდიდარი, აყვავებული სახელმწიფო ვართ, ჩვენ არა გვჭირდება არავითარი სხვისი მიწები. დასასრულ, ჩვენი ხელშეკრულებანი ურღვევია იმიტომ, რომ ჩვენ არავის არ მივცემთ მათი დარღვევის ნებას. ჩვენ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი საზღვრები და ჩვენი მშვიდობიანი შრომა ყოველგვარი თავდასხმისაგან. ჩვენ ეს სულ ამ ცოტა ხნის წინათ დავამტკიცეთ საქმით, როდესაც სეგნობრივი გაკვეთილი მივეცით იაპონიის სამხედრო ხროვას ჩვენი საზღვრების დარღვევის ცდის დროს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი დიადი სამშობლო მშვიდობიანობის ყველა მომხრის ერთადერთი რეალური იმედია მთელს მსოფლიოში. სიყვარულითა და იმედით შემოჰყურებს მშრომელი კაცობრიობა სოციალიზმის ქვეყანას, კაცობრიობის ჩირაღდანს, მშრომელთა მასწავლებლისა და მეგობრის — ამხანაგ სტალინის ბრწყინვალე სახეს.

დეპუტატ ო. ი. შმიდტის საბოლოო სიტყვებს მქუხარე ოვაციით ხვდებიან. ყველა ფეხზე დგება. დარბაზის ყველა კუთხიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დეპუტატ შმიდტის მოხსენების დამთავრების შემდეგ სიტყვას წინადადებისათვის ღებულობს დეპუტატი **ზ. ა. დვინსკი.**

რადგანაც ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად შეტანილი წინადადებანი სრულიად უდავო წინადადებებს წარმოადგენენ და სავსებით შეესაბამებიან სტალინურ კონსტიტუციას, ამხ. დვინსკი მოითხოვს, რათა პროექტი კანონისა „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ" დამტკიცებულ იქნას მთლიანად.

თავმჯდომარე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი პალატებს აცნობებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას, რომ მთავრობა ეთანხმება ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის მიერ შეტანილ კანონპროექტს.

ამის შემდეგ კენჭს უყრიან „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ" კანონის პროექტს; კენჭისყრა ცალ-ცალკე პალატების მიხედვით ხდება. ცალცალკე კენჭისყრით კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს კანონს.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე. მოხსენებით „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის" კანონის პროექტის შესახებ გამოდის კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრი, დეპუტატი **ა. ი. უგაროვი.**

მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შესახებ, რომელმაც სამუდამოდ ააცილა მშრომელ გლეხობას სიღატაკისა და შიმშილით სიკვდილის საშიშროება და შეძლებული და კულტურული ცხოვრების დონემდე აიყვანა იგი. ათეულ მილიონობით გლეხობა საკუთარ მაგალითზე დარწმუნდა, რომ საკოლმეურნეო გზა — ეს ერთადერთი სწორი გზაა მშრომელი გლეხობისათვის და რომ კოლმეურნეობაში შეთანხმებული მუშაობით, მოწინავე ტექნიკის — ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებით, შეუძლია დღითი-დღე გააუმჯობესოს თავისი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა.

საკოლმეურნეო წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში იმიტომ გაიმარჯვა, რომ საბჭოთა ქვეყანას განაგებს მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც კოლმეურნეობათა ჩასახვისთანავე და მთელი განვითარების მანძილზე უწევდა და დღესაც უწევს უდიდეს დახმარებას სახსრებით, მანქანებით და კადრებით.

1938 წლის პირველი იანვრის ცნობების მიხედვით, კოლმეურნეობები უკვე ყველა საგლეხო მეურნეობის 93 პროცენტს აერთიანებენ და მთელი დასათესი ფართობის 99 პროცენტს ამუშავებენ.

საკოლმეურნეო გზა გახსნილია ყოველი მშრომელი გლეხისათვის, რომელიც პატიოსანი შრომით შოულობს პურს.

საკოლმეურნეო გლეხობასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში არსებობს ერთპიროვნულ მეურნეობათა ერთი ნაწილი, რომელსაც თუმცა სრულიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. როგორც ცნობილია ჩვენი კონსტიტუცია უშვებს ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი, კერძო მეურნეობის არსებობასა და საქმიანობას, — მეურნეობისა, რომელიც პირად შრომაზეა დამყარებული და სხვისი შრომის ექსპლოატაციას გამორიცხავს.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმას, რომ ერთპიროვნულ მეურნეთა სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, რომლებიც არსებითად საბჭოთა კანონების შემოვლას, კოლმეურნეთა და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დარღვევას წარმოადგენენ. ერთპიროვნულ მეურნეთა სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც პრაქტიკულად ერთპიროვნული მეურნეობა უპირატესობრივ მდგომარეობაშია კოლმეურნეობებთან შედარებით, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი კომუნისტური პარტიისა და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას. ასეთ ფაქტებს სამართლიანად აქცევენ ყურადღებას კოლმეურნეები და კანონიერად გამოსთქვამენ მათი საჩქაროდ აღმოფხვრის სურვილს.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სჩანს ერთპიროვნულ მეურნეობაში ცხენების გამოყენების მაგალითიდან. ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე ფინსახკომის ორგანოების მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ მთლიანად დაადასტურა კოლმეურნეთა მრავალი განცხადება, რომ ერთპიროვნულ მეურნეობებში ცხენებს ჩვეულებრივ თავის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საწარმოებლად კი არ იყენებენ, არამედ მეურნეობის გარეშე ყოველგვარ სამუშაოზე, სპეკულაციური გამორჩენის მიზნით.

იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ერთპიროვნულ მეურნეობებში სპეკულაციური გამორჩენის მიზნით ცხენების გამოყენება და გავაძლიეროთ ერთპიროვნულ მეურნეობათა დისციპლინა მათ მიერ ყველა სახელმწიფო ვალდებულების შესრულების დარგში, მოვსპოთ იმ ერთპიროვნულ მეურნეთა უარყოფითი ზეგავლენა ცალკეულ მერყევ კოლმეურნეებზე, რომლებიც სპეკულაციაში ჩაეფლნენ, — კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად შემოიტანა პროექტი კანონისა „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ".

— კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, — ამბობს ამხ. უგაროვი, — რომ ამ კანონს მთლიანად, ერთსულოვნად მოიწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი და ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მთელი მასა. ეს კანონი კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისათვის ახალი დამამტკიცებელი საბუთი გახდება იმისა, თუ როგორი მზრუნველობით ეპყრობიან კოლმეურნეთა ინტერესებს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო, კომუნისტური პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

დეპუტატ ა. ი. უგაროვის მოხსენების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** აცხადებს, რომ განხილვა კანონისა „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ" პალატების მიხედვით მოხდება.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა დახურულად ცხადდება. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნიდან მარჯვნივ) პოლკოვნიკი ა. გ. ლიაპიდევსკი და ემელიანე იაროსლავსკი სხდომის შემდეგ.

ფოტო ბ. ფიშმანისა („სოიუზფოტო")

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია.
სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. ა. იზოტოვი და საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ს. მოლოკოვი კრემლის დიდი სასახლის შესავალთან.

ფოტო დ. ჩერნოვისა („სოიუზფოტო")

სესიის 1938 წლის 19 აგვისტოს სხდომის დღიური

კავშირის საბჭოში

19 აგვისტოს, საღამოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეშვიდე სხდომა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

თავმჯდომარეობს — კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.**

კავშირის საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

გამოდის დეპუტატი **ა. ე. კორნეიჩუკი.**

— „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტი, — ამბობს ამხ. კორნეიჩუკი,—წარმოადგენს ბრწყინვალე გამოხატულებას საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც დამყარებულია მუშათა კლასის გენიალური ბელადების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოძღვრებაზე.

დიდი ღირსებაა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მოქალაქეობა. სადაც არ უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ის ყველგან გრძნობს ჩვენი დიადი სამშობლოს ძალასა და ძლიერებას.

სსრ კავშირის ხალხები თანასწორუფლებიანია და გაერთიანებულია ურყევი სტალინური მეგობრობით. საბჭოთა უკრაინა სოციალიზმის უძლეველ ფორპოსტს წარმოადგენს დასავლეთში.

პოლონელი ფაშისტური შლიახტა გერმანულ ფაშიზმთან ერთად ოცნებობს უღელი დაადგას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თავისუფალ მოქალაქეებს. დასავლეთ-უკრაინის მილიონობით გლეხებს პოლონელმა შლიახტიჩებმა მშობლიური ენის უფლება წაართვეს. უკრაინული სკოლები იქ განადგურებულია. არ არის არც ერთი სკოლა უკრაინულ ენაზე. პოლონეთმა დასავლეთ-უკრაინის მშრომელებს სიღატაკე, შიმშილი და უუფლებობა მისცა. მაგრამ რამდენიც არ უნდა აჩხარუნონ ხმლები პოლონელმა პანებმა გერმანელი ფაშისტების ბრძანებით ჩვენ, უკრაინელები, საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, გულდამშვიდებული ვართ ისევე, როგორც გულდამშვიდებულია მთელი დიადი საბჭოთა ხალხი, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს თავისუფალ შრომას იცავენ ჩვენი ძლიერი, უძლეველი წითელი არმიის სახელოვანი შვილები.

ამხ. კორნეიჩუკი წინადადებას იძლევა დამტკიცებულ იქნას კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ".

დეპუტატი **გ. ა. ბრატანოვსკი** ლაპარაკობს, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტი მიმართულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სტალინური კონსტიტუციის 133 მუხლში ნათქვამია: „სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა".

ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით. ჩვენ ვიცით, რომ ფაშისტები კვლავ ოცნებობენ ხელში ჩაიგდონ საბჭოთა მიწა-წყალი, რომ ისინი უსაზიზღრეს პროვოკაციებს აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თუ ფაშისტი აგრესორები ომს გააჩაღებენ, ჩვენი ქვეყნის ხალხები გამანადგურებელ პასუხს გასცემენ მათ.

ჩვენ ყველამ დავინახეთ, თუ რა აღშფოთების ტალღამ მოიცვა საბჭოთა კავშირის მოქალაქენი იაპონელთა სამხედრო ხროვის იმ თავხედური პროვოკაციის საპასუხოდ, რომელიც მან ჩვენს შორეულ-აღმოსავლეთის საზღვარზე მოაწყო. ჩვენ ვიცით, თუ როგორი პასუხი მიიღეს იაპონელმა აგრესორებმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობით, თავის სამშობლოსადმი, თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულის გრძნობით საბჭოთა ხალხი იბრძვის სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებებისათვის, ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობისათვის.

სიტყვით უზბეკურ ენაზე გამოდის დეპუტატი **ი. ახუნბაბაევი.**

— პროექტი კანონისა „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ", რომელიც შემოიტანა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დასამტკიცებლად, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. მასში ასახულია სსრ კავშირის მშრომელების ისტორიული მონაპოვართა შედეგები.

ამხ. ახუნბაბაევი მოაგონებს სხდომას უზბეკი ხალხის გაწამებული ცხოვრების შესახებ ცარიზმის დროს, როდესაც მშრომელები მოკლებული იყვნენ ელემენტარულ პოლიტიკურ უფლებებს. ჯერ კიდევ 1913 წელს ბუხარაში, მთავარ მოედანზე, ემირის სასახლის წინ, შეგეძლოთ დაგენახათ ხელფეხშეკრული ადამიანების — „კაბალშიკების" ჯგუფები, რომლებსაც ჰყიდდნენ ვალების გასასტუმრებლად. მხოლოდ ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა უზბეკი ხალხი მონობისაგან. ყველა სხვა ხალხთან ერთად იგი შეუდგა ძლევამოსილ მსვლელობას სოციალისტური მშენებლობის გზით და მოკლე ხანში მიაღწია არაჩვეულებრივ წარმატებებს. უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ამ ბრძოლაში უზბეკეთის მშრომელებს რუსმა ხალხმა.

ორი სტალინური ხუთწლედის შედეგად უზბეკეთის სს რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუძლიათ ილაპარაკონ თავისთავზე, როგორც საბჭოთა აღმოსავლეთის ერთერთი მოწინავე რესპუბლიკის მოქალაქეებზე, როგორც მოქალაქეებზე, რომლებსაც უაღრესად ფართო უფლებანი და შესაძლებლობანი აქვთ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში.

— ჩვენ,—აცხადებს ამხ. ახუნბაბაევი,—ვამაყობთ მთელი მსოფლიოს წინაშე სსრ კავშირის მოქალაქის მაღალი წოდებით, ჩვენ ვამაყობთ იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რომელსაც იგი ჩვენ გვაკისრებს. უზბეკეთის სს რესპუბლიკის ხალხები მაღლა დაიჭერენ სსრ კავშირის მოქალაქის წოდებას და ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

სიტყვას იღებს დეპუტატი **ვ. ნ. ობრაზცოვი.** ის ლაპარაკობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებაზე, პოლიტიკისა, რომელმაც ერთ მთლიან ძმურ ოჯახად შეამჭიდროვა ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ხალხი და უზრუნველჰყო კულტურისა და მეცნიერების შესანიშნავი აყვავება სსრ კავშირში. საქართველოს, უზბეკეთისა და უკრაინის ნაციონალურმა ხელოვნებამ უკვე დიდად გამოიჩინა თავი თეატრში, ლიტერატურაში. ეროვნულ დღესასწაულს ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხის ტყაოსნის" 750 წლისთავის გამო ისევე მიესალმა მთელი ქვეყანა, როგორც „იგორის ლაშქრობის ამბავის" 750 წლის იუბილეს. ჩვენი მეცნიერება, მშრომელი ხალხის კულტურულ განვითარებაზე, საყოველთაო განათლებაზე დამყარებული, სულ უფროდაუფრო დიდ მეცნიერულ ძალებს იძლევა სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში.

— ჩვენ გვაქვს ის, რითაც შეუძლია იამაყოს სსრ კავშირის მოქალაქემ,—ხაზგასმით აღნიშნავს დეპუტატი ობრაზცოვი.—ჯერ კიდევ 20 წლის წინათ ჩვენ წარმოვადგენდით ღატაკ, ჩამორჩენილ, წერაკითხვის უცოდინარ ქვეყანას. ახლა ჩვენ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ პირველ ადგილზე ვდგევართ ევროპაში და მეორე ადგილზე—მსოფლიოში. ჩვენ შევქმენით მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება და თავი დავაღწიეთ მოუსავლიანობის საშიშროებას.

ჩვენ სსრ კავშირის მოქალაქენი, სიხარულითა და კმაყოფილებით ვღებულობთ მოქალაქეობის კანონს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა მიდის სულ ახალი და ახალი გამარჯვებებისა და უსაზღვრო ზრდისაკენ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეჰქმნა ჩვენი კავშირი, ჩვენი არმია, ჩვენი კონსტიტუცია. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატი **მ. შაგადაევი** სიტყვას ამბობს ტაჯიკურ ენაზე.

— სიტყვები—მე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე ვარ,—ამბობს იგი,—განსაკუთრებული სიამაყითა და სიხარულით ჟღერენ ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელისათვის. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ჩვენი სამშობლო მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, სადაც გაიმარჯვა სოციალიზმმა, სადაც სისხლსავსედ გაიფურჩქნა თავისუფალი, სოციალისტური ცხოვრება.

სსრ კავშირის მოქალაქეობის კანონი კიდევ უფრო შეამჭიდროებს საბჭოთა ხალხს. კიდევ უფრო ძლიერად შეიყვარებენ თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს დიადი საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ხალხები.

ისინი არავის და არასოდეს არ მისცემენ უფლებას დაარღვიონ ჩვენი კავშირის წმინდათა-წმინდა საზღვრები. ამის თავდებია ჩვენი მშობლიური, უძლეველი წითელი არმია და მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებისა, რომლებიც დარაზმული არიან ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო ისე, როგორც არასოდეს.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა წმინდათა-წმინდა უფლებებზე და მოვალეობებზე ლაპარაკობს დეპუტატი **ი. კ. კარაკულოვი.** იწონებს რა კანონპროექტს, მას მოჰყავს დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ აღორძინებული ყაზახი ხალხის კულტურის გაფურჩქვნის შესანიშნავი ფაქტები. ყურადღებით ისმენს დარბაზი ყაზახეთის მომღერლის—ჯამბულის ლექსებს, რომელიც მოჰყავს ამხ. კარაკულოვს.

საუკუნემ ააჩქარა დროის რბენა წინა.
კაცი წელში გაიმართა, აღსდგა, გახდა რკინა.
მას ცხოვრება თავზე აწვიმს, ლაღი როგორც ღვარი —
დიდ სტალინის ეპოქაში ბედნიერი არი.
დღეს აღმდგარი ჩემი ხალხი, შემოსილი დაფნით,
დიდ სტალინზე ჰანგებს აფრქვევს ნაღარით და დაფით.
ეს ჰანგები ახალია, ტკბილი როგორც თაფლი,
ის გულიდან მოჩუხჩუხებს, ვით ნექტარის ქაფი.

— დეე კარგად დაიხსომონ ფაშისტებმა, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. კარაკულოვი მთელი დარბაზის ტაშის გრიალში, — რომ საბჭოთა კავშირის ხალხები მხარს უჭერენ მშვიდობიანობას და იცავენ მშვიდობიანობის საქმეს, მაგრამ, თუ საჭირო იქნება დავარტყათ ომის გამჩაღებელთ. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი წითელ არმიასა, წითელ ფლოტსა და წითელ ავიაციასთან ერთად განმანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ფაშისტებს.

დეპუტატი **მ. ი. ალიევი** უერთდება წინათ გამოსულ დეპუტატთა წინადადებას „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის მიღების შესახებ.

ამხ. ალიევის სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება.

საბოლოო სიტყვით გამოდის მომხსენებელი—დეპუტატი **ნ. ა. ბულგანინი.**

შემდეგ კანონის პროექტს კენჭსუყრიან და ამტკიცებენ. კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარე—კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო** სიტყვას აძლევს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარს **ნ. მ. რიჩკოვს** იმისათვის, რომ მან მოახსენოს კავშირის საბჭოს იმ შესწორებათა შესახებ, რომლებიც მიიღო ეროვნებათა საბჭომ „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სასამართლოს წყობილების კანონის" პროექტის მიმართ.

ამხ. რიჩკოვი იუწყება, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილ პროექტში ეროვნებათა საბჭომ შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი და სარედაქციო შესწორებანი, რომლებიც ემთხვევა კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ ცვლილებებსა და შესწორებებს. ამასთან ერთად ეროვნებათა საბჭომ კანონის ზოგიერთი მუხლი მიიღო რამდენადმე განსხვავებული რედაქციით იმ რედაქციისაგან, რომლითაც მიიღო ეს მუხლები კავშირის საბჭომ.

მაგალითად, 21 მუხლის პუნქტი „ა" იმ რედაქციით, რომელიც მიღებულია კავშირის საბჭოს მიერ, სახალხო სასამართლოს განსჯადობას აკუთვნებს სისხლის სამართლის საქმეებს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებისა და მათთვის სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გარანტირებულ სხვა უფლებების დარღვევათა შესახებ.

ეროვნებათა საბჭომ 21 მუხლის „ა" პუნქტი მიიღო სახალხო კომისართა საბჭოს რედაქციით. მოქალაქეთა საარჩევნო და სხვა უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევები, კონკრეტული პირობების მიხედვით, განხილულ უნდა იქნას ან როგორც თანამდებობრივი ხასიათის დანაშაულობანი, ან როგორც კონტრრევოლუციური ხასიათის დანაშაულობანი, უკეთუ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებისა და სხვა უფლებების დარღვევა ჩადენილია კონტრრევოლუციური მიზნებით. მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შემთხვევები შეიძლება იყოს განხილვის საგანი როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო წესით.

ამიტომ ეროვნებათა საბჭომ სცნო, რომ 21 მუხლის „ა" პუნქტი სახალხო კომისართა საბჭოს რედაქციით უფრო ზუსტად და სწორად განსაზღვრავს საქმეთა დაქვემდებარებას სახალხო სასამართლოსადმი.

28 მუხლის „დ" პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ სახალხო სასამართლო განკარგულებას ახდენს სასამართლოში ბრალდებულთა, მოწმეთა და ექსპერტთა გამოძახების შესახებ. კავშირის საბჭომ მიიღო სახალხო კომისართა საბჭოს რედაქციით.

ეროვნებათა საბჭომ ეს პუნქტი მიიღო სხვა რედაქციით, დაუმატა სიტყვები: „და ატყობინებს მოსარჩელეებსა და მოპასუხეებს საქმის განხილვის დროის შესახებ". ეროვნებათა საბჭოს მიერ მიღებული ეს შესწორება აზუსტებს სახალხო სასამართლოების უფლებებსა და მოვალეობებს სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს.

ეროვნებათა საბჭომ მიიღო ანალოგიური შესწორებანი 36, 43 და 51 მუხლებისა, რომლებიც ეხებიან სამხარეო, საოლქო და საოკრუგო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებებსა და მოვალეობებს.

ამხ. რიჩკოვს მთავრობის სახელით წინადადება შემოაქვს — დამტკიცებულ იქნას ზემოაღნიშნული მუხლები „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონისა" ეროვნებათა საბჭოს მიერ მიღებული რედაქციით, რომელიც უფრო ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრავს სასამართლოების ამოცანებს.

ამხანაგ რიჩკოვის წინადადებას კავშირის საბჭო ღებულობს ერთხმად.

კავშირის საბჭო ღებულობს დეპუტატ ვ. ა. მალიშევის წინადადებას — სესიის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი — პროექტი კანონისა „საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ" მოსმენილ და განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. გადაწყვეტილია აგრეთვე დეპუტატ ვ. ა. მალიშევის წინადადებით, რომ მოხსენება დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე — პროექტი კანონისა „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ" მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

(საკდესი).

სალეწი მანქანა № 7 და უდარდელი ხელმძღვანელები

სოფ. ზემო-ჩოჩეთის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობამ კასპის მტს-იდან სალეწი მანქანა 17 ივლისს მიიღო. ამ დღეს აღებული მოსავალი არ იყო მიზიდული სალეწის ადგილას და ამიტომ მანქანას გასალეწი არაფერი დახვდა. ამაში, ცხადია, დამნაშავენი არიან კოლმეურნეობის მესვეურები, მაგრამ მეტი დამნაშავეა კასპის მტს-ის დირექცია, რომელმაც კოლმეურნეობას შეუკეთებელი მანქანა გაუგზავნა.

კოლმეურნეობამ კალოზე გასალეწი ძნა მესამე დღეს მიზიდა. სამუშაოდ გამოვიდა ბესო გოგობერიძის ბრიგადა, ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა, აგუგუნდა ტრაქტორიც, მაგრამ არ ამუშავდა სალეწი მანქანა № 7. მას დეფექტები აღმოაჩნდა.

როგორც იყო, 25 ივლისს სალეწი მოძრაობაში მოიყვანეს. ამ დღეს მან მხოლოდ ტონანახევარი მარცვალი გალეწა. 26 ივლისს მანქანა მოიშალა, აამუშავეს მეორე დღეს. მესამე დღეს კიდევ გაჩერდა და ა. შ.

ერთი სიტყვით, ამ კოლმეურნეობაში მანქანა ერთი თვის განმავლობაში იდგა და ამ ხნის განმავლობაში 26,5 ტონა მარცვლეული ძლივს გალეწა. სალეწმა მანქანამ ხშირი გაჩერებისა და შეკეთების გამო ზემო-ჩოჩეთის კოლმეურნეობას აუარებელი მუშა-ხელი გაუცდინა, ლეწვა გაუჭიანურა, მეზობელი სოფლების კოლმეურნეობებსაც აცდევინა.

ეს ყველაფერი ფაქტია და ამას ვერ უარჰყოფს კასპის მტს-ის დირექცია.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლევან ფეიქრიშვილის დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა დანაკარგებთან ბრძოლაში. სალეწი მანქანიდან ჩამოსულ მარცვალს დახეულ ტომრებში ჰყრიდნენ, გადატან-გადმოტანისა და აწონვის დროს აუარებელი მარცვალი იბნეოდა.

მოსავლის დიდ დანაკარგს ნახავთ ამ კოლმეურნეობის ურმით სავალ გზაზე საყანე მინდვრიდან გასალეწ ადგილამდე. გზადაგზა მოფენილია თავთავი და მასზე დადის ურემი, პირუტყვი, კაცი. აშკარად ფეხქვეშ „ილეწება" პური, და ამას აქ გულდამშვიდებით უყურებენ.

დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში უყურადღებობა და უდარდელობა გამოიჩინეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ტორიკაშვილმა, ბრიგადირმა გოგობერიძემ და გამგეობის დანარჩენმა წევრებმა, რომელთა თვალწინ დახეული ტომრებიდან იკარგებოდა მარცვალი.

კოლმეურნეობის მესვეურებმა წინასწარ, ლეწვის დაწყებამდე არ მიიღეს ყველა ზომა ტომრების წესრიგში მოსაყვანად და არ გაითვალისწინეს მოსალოდნელი დანაკარგები. მათ აშკარად დაარღვიეს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავების შესახებ.

* * *

ხსენებულ კოლმეურნეობას ძალიან ცუდი მდგომარეობა აქვს სიმინდის ნათესების დამუშავებაში. 25 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან მეორედ გათოხნილია მხოლოდ 7 ჰექტარი, სიმინდის დანარჩენი ფართობი სარეველა ბალახითაა დაფარული და ის თითქმის ალუპულად უნდა ჩაითვალოს მაგრამ აქ ამ მდგომარეობას გულხელდაკრეფილი შესცქერიან.

სად არიან კასპის რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები, წითელქალაქის სასოფლო საბჭო? ყველა თითქოს თავის სამუშაოზეა, მაგრამ მათი კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება ზემო-ჩოჩეთის კოლმეურნეობისადმი არ სჩანს.

ამ კოლმეურნეობაში საერთოდ, კარგად ვერ არის საქმე და თუ მას დროულად არ მიხედეს, აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა კვლავ დარჩება.

ვ. მთვრალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

გავაუმჯობესოთ მუშაობა პარტიის რეზერვებთან!

უდარდელობა და ფორმალიზმი აფერხებს პარტიის რიგების ზრდას

საქნავთის პარტიული ორგანიზაცია, როგორც მსხვილი საწარმოს ორგანიზაცია, რაიონში სანიმუშო უნდა იყოს. წითელწყაროს რაიონის სოფლებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციები მისგან უნდა სწავლობდნენ პარტიულ მუშაობას.

მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის. საქნავთის პარტიული ორგანიზაცია ძალიან სუსტად მუშაობს. ამ რაიონის სასოფლო და საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციები პარტიული მუშაობის მხრივ მისგან ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ისწავლიან.

პარტკომის მდივანი ამხ. ვ. მღვდელაძე თვითკმაყოფილების სენით არის შეპყრობილი. მისი აზრით საქნავთის პარტორგანიზაციაში ყველაფერი თავის რიგზეა. „მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი ნაკლოვანება გვაქვს", — ამბობს.

როგორია ეს „წვრილმანი" ნაკლოვანებები? პარტიის რიგებისა და თანამგრძნობთა ჯგუფის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობს, უპარტიო აქტივისტთა შორის მასობრივი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებს. კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა სუსტია, პარტიული განათლების წრეები ცუდად მუშაობენ, წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლი არ ჩანს, პოლიტიკური ინფორმაცია და აგიტატორთა მუშაობა მოუგვარებელია.... და ყოველივე ამის შემდეგ პარტკომის მდივნის აზრით მაინც ყველაფერი რიგზეა!

დავიწყოთ კონკრეტული ფაქტებით.

პარტკომის მდივანი არავითარ მუშაობას არ ეწევა უპარტიო აქტივთან, თანამგრძნობთა რიგებში მისი ჩაბმისათვის. აქ დავიწყებულია ადამიანთა ორგანიზაციისა და აღზრდის საქმეში ისეთი უბრალო წესიც კი, როგორიც არის უპარტიო აქტივის აღრიცხვა.

საქნავთის წარმოებაში, სადაც 1000-ზე მეტი კაცი მუშაობს, თანამგრძნობთა ჯგუფში მხოლოდ 21 კაცია. ამ 7 თვის განმავლობაში თანამგრძნობთა ჯგუფიდან პარტიაში მიიღეს მხოლოდ ერთი კაცი. ქარხანაში 270 სტახანოველი და 40-ზე მეტი დამკვრელი მუშაა. მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დღემდე პარტიაში მარტო 12 კაცია მიღებული, მათ შორის მხოლოდ ორი ქალია.

— საქნავთის პარტორგანიზაციის სათავეში ხალხის ამჟამად გამომჟღავნებული მტერი იჯდა, — მასთან მუშებს განცხადება მიჰქონდათ, პარტიაში მიღებას თხოულობდნენ, ის კი პოლიტიკური მკაცრი გამოცდებით აშინებდა მათ... სწორედ ამის შედეგია, რომ პარტიაში მიღება ჩვენთან დღეს მძიმედ მიმდინარეობს, — თავს იმართლებს პარტკომის მდივანი მღვდელაძე.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის პლენუმმა ჯერ კიდევ აპრილში (მაშინ საქნავთის პარტორგანიზაცია სიღნაღის რაიონში შედიოდა), თავის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით მიუთითა საქნავთის პარტორგანიზაციას პარტიის რეზერვებთან სუსტ მუშაობაზე, მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა, მოსალოდნელი იყო, რომ პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ მაინც გამოსწორდებოდა მდგომარეობა, მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. არა თუ არ გამოსწორდა საქმე, არამედ პარტიის რეზერვებთან პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობა კიდევ უფრო გაუარესდა. სიღნაღის რაიკომის პლენუმის მიერ, აპრილში მიღებული დადგენილება პარტკომის მდივანმა მხოლოდ ივლისის ბოლო რიცხვებში დაამუშავა პარტორგანიზაციის კრებაზე, ისე, რომ არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ მიუღიათ.

კიდევ მეტი. საქნავთის პარტორგანიზაციაში დღემდე არ განუხილავთ საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგები, პარტკომის მდივანი უდარდელად აცხადებს; „ორი მომხსენებელი გამომიყვეს, არცერთმა მათგანმა მოხსენების გაკეთება არ ისურვა და მე ხომ მოხსენებას ვერ გავაკეთებდიო".

ასეთი მუშაობით საქნავთის პარტიული ორგანიზაცია შორს ვერ წავა. საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს ახალმა რაიკომმა მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი საქნავთის პარტორგანიზაციის მუშაობის გაჯანსაღების საქმეს, აღმოფხვრას ფორმალიზმი და უდარდელობა პარტკომის მუშაობაში და ისე ააგოს ამ დიდ ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობა, რომ იგი წამყვანი ორგანიზაცია გახდეს, ამავე დროს რაიონის პირველადი პარტორგანიზაციებისათვის პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების სკოლად გადაიქცეს.

ალ. გვინჩიძე.

თათბირი თანამგრძნობთა შორის მუშაობის შესახებ

19 აგვისტოს ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომთა მდივნებისა და პარტორგების სარაიონო თათბირი თანამგრძნობებთან ერთად.

თათბირმა განიხილა რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში თანამგრძნობთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის საკითხი.

მოსმენილ იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომთა მდივნების, პარტორგებისა და თანამგრძნობების მოხსენებები, რის შემდეგაც გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15-მა ამხანაგმა.

მრავალმხრივ საინტერესო იყო კამათში გამოსულ ამხანაგთა სიტყვები. ისინი ბოლშევიკური პირდაპირობით აღნიშნავდნენ რაიონის პირველადი პარტორგანიზაციებისა და რაიონული კომიტეტის არასაკმაო ხელმძღვანელობას თანამგრძნობებისადმი. გამოირკვა, რომ რაიონის მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გააუმჯობესეს თანამგრძნობთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.

თათბირზე პირველად გამოდის ამხ. მურადოვი (ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის პარტორგი). ის აღნიშნავს, რომ მაისის დასაწყისამდე მათთან არცერთი თანამგრძნობი არ იყო, ხოლო მას შემდეგ მიღებულია 7 თანამგრძნობი. ისინი ყველანი ჩაბმული არიან პოლიტსკოლებში და მიცემული აქვთ პარტიული დავალებები, მუშაობენ კედლის გაზეთის რედკოლეგიაში, აგიტატორებად არაორგანიზებულ მოსახლეობაში და სხვ. დახმარების გასაწევად თანამგრძნობებს კომუნისტები მიამაგრეს. მაგალითად, თანამგრძნობ გოგლიძეს მიამაგრეს პარტიის წევრი ქარუმიძე, ხოლო თანამგრძნობ ვერულაშვილს — მურადოვი.

თანამგრძნობი დალაქიშვილი (თბილვაჭრობის სამრეწველო ბაზა) აღნიშნავს, რომ უკანასკნელად თანამგრძნობებისადმი პარტკომის დახმარება და ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელია.—იმისათვის, — ამბობს დალაქიშვილი,—რომ პარტიის წესდება და პროგრამა შემესწავლა, მომამაგრეს კომუნისტი პაპაშვილი, მაგრამ ორ თვეზე მეტია, რაც ჩემთვის მას არავითარი დახმარება არ გაუწევია.

თანამგრძნობი ჩიჩიკაშვილი (არტელი „შეერთებული ძალა") ამბობს, რომ სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა თანამგრძნობებთან, მათ არ ასწავლიან წესდებასა და პროგრამას და სხვ. პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად გამოყოფილი იყო კომუნისტი ამხ. მ. საკოვი, რომელმაც მხოლოდ ერთი მეცადინეობა ჩაატარა, პარტკომს კი მისთვის დღემდე პასუხი არ მოუთხოვია.

არადამაკმაყოფილებელია თანამგრძნობთა შორის მუშაობა ჯამსახლის № 2-ს პარტორგანიზაციაში 70 მუშა-მოსამსახურიდან თანამგრძნობად მიიღეს მხოლოდ სამი. მიღებულებთანაც მუშაობა ჩაშლილია. თვით პარტკომის მდივანი ამხ. დათუნაშვილი არასერიოზულად ეკიდება ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს. ის თათბირზე არც კი გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ დღისწესრიგში დასმული იყო მისი მოხსენება თანამგრძნობთა შორის მუშაობის შესახებ.

საგალანტერიო ფაბრიკაში თანამგრძნობ სარქისიანს პარტიულ „დავალებად" მიცემული აქვს პროფკავშირის საწევრო ანარიცხების დროულად აკრეფა.

შემდეგ კამათში გამოდის ამხ. ჩესკი (რაიკომის ინსტრუქტორი). ის აკრიტიკებს როგორც პირველადი პარტორგანიზაციების, ისე რაიკომის სუსტ ხელმძღვანელობას თანამგრძნობებისადმი. არსებული ნაკლოვანებანი,—ამბობს ამხ. ჩესკი, — შედეგია არა მარტო პირველადი პარტორგანიზაციების ცუდი მუშაობისა, არამედ იმისაც, რომ რაიკომი და კერძოდ მისი ინსტრუქტორები არასაკმაოდ ვეხმარებით პარტორგანიზაციებს თანამგრძნობთა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნაში და თანამგრძნობთა რიგების ზრდაში. მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის სტამბაში (პარტკომის მდივანი—ბერძენიშვილი) ივლისამდე თანამგრძნობთა ჯგუფში მიღება არც კი უწარმოებიათ. საქ. ტრიკოტაჟის ფაბრიკის პარტორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი — ცქიტიშვილი) თვითეულ თანამგრძნობს მიცემული აქვს სამი და მეტი დავალება. (მაგალითად, მურავლიოვს) ხოლო პარტკომი არ ამოწმებს და სუსტად ეხმარება თანამგრძნობებს დავალებათა შესრულებაში.

ზოგიერთი პარტორგანიზაცია, — ამბობს ამხ. ჩესკი, — აშკარა ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდება თანამგრძნობთა საბუთების სწორად გაფორმებას, მაგალითად, აბანოების ტრესტში (პარტკომის მდივანი — მამედოვი) თანამგრძნობ ავეტისოვის საქმე პატარა ნაგლეჯ ქაღალდზეა, სადაც სწერია: „პარტკომის მდივანს. გთხოვთ მიმიღოთ თანამგრძნობთა ჯგუფში". რაზედაც რეზოლუცია შებრუნებით არის წაწერილი: „მიღებულ იქნას თანამგრძნობთა ჯგუფში. პარტკომის მდივანი".

დასასრულ, შემაჯამებელი სიტყვებით გამოვიდნენ რაიკომის მდივნები ამხ. ვ. ღლინი და ნ. გაბუნია, რომლებმაც თათბირის წინაშე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, თანამგრძნობებთან მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე.

თათბირზე აღნიშნული საკითხებისა და რაიკომში არსებული მასალების საფუძველზე რაიკომის ბიურო გამოიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს თანამგრძნობთა შორის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, ეს ღონისძიებანი სახელმძღვანელოდ დაეგზავნება რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციას.

ალ. გოგოლაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) პარტკომების მდივნებისა და პარტორგების 15-დღიანი გადასამზადებელი კურსების მსმენელთა ჯგუფი, რომლებმაც სწავლა „ფრიადზე" დაამთავრეს. სურათზე (სხედან მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ღონაძე (ლომონოსოვის პარტორგი), ლ. სარიევა („საქძაფის" პარტორგი), მ. სიმონიანი („კავშირმრეწვავაჭრობის" პარტორგი), გ. ბოჭორიშვილი (რკინიგზის დაცვის მე-4 რაზმის პარტკომის მდივანი), მ. ბირკაშვილი (ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის პარტორგი), ა. მეხტიშვილი („კავშირბეწვეულობის ვაჭრობის" პარტორგი), ი. გვენცაძე (ცეკავშირის პარტკომის მდივანი).

ფოტო შ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლის ინდივიდუალურ კაბინეტში პროპაგანდისტი ლ. სურგულაძე ემზადება მორიგი მეცადინეობისათვის.

ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიის რეზერვთან მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ფოთის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიაში ახალ წევრთა მიღების განახლებიდან დღემდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღეს 195 კაცი; საქალაქო პარტიულ კონფერენციამდე პარტიაში მიღებულთა შორის მხოლოდ 6 ქალი იყო; კონფერენციის შემდეგ ერთგვარად გაძლიერდა პარტიაში ქალთა მიღება, კონფერენციის შემდეგ პარტიაში მიღებულია 20 ქალი.

მაგრამ ეს არ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ფოთის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოფიქრებულად და გულისხმიერად იბრძვის პარტიის რიგების ზრდისათვის. არა. მაგალითად, ნავსადგურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში თანამგრძნობებთან არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. აქ პარტიაში იღებენ იმას, ვისაც თანამგრძნობთა ჯგუფში ყოფნის დიდი სტაჟი აქვს. ასეთ თანამგრძნობებს ისე ღებულობენ პარტიაში, რომ არ ამოწმებენ მათ პოლიტმომზადების დონეს. მაგ., ნავსადგურის პარტორგანიზაციამ მიიღო პარტიის წევრობის კანდიდატებად თანამგრძნობები: ალ. ხოშტარია და ა. ზარგინავა, რომლებიც პარტიის წესდების ელემენტარულ საკითხებშიაც ვერ ერკვევიან.

ფოთში არის ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებსაც დღემდე პარტიაში არცერთი კაცი არ მიუღიათ (ყულევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია, სადგ. ქალადიდის, საქპურტრესტის ფოთის განყოფილების, სასამართლო - პროკურატურის, სატყეო მეურნეობის, ფოლაქების ქარხნის, ინვალიდთა კოოპერაციის და სხვ.). ამ ორგანიზაციების პარტორგები წუწუნებენ „რეზერვი არ გვყავსო"—ზოგიერთები კი თავს იმართლებენ: „ჯერ მოიცადეთ, გულდასმით ვაწარმოებთ პარტიაში მისაღებთა შესწავლასო".

მთელმა რიგმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა (ხე-ტყის ქარხანა პარტორგი პ. ლაშქარავა) მიიღეს პარტიის რიგებში თითო-ოროლა ამხანაგი და შემდეგ „შესწყვიტეს" მიღება, ვინაიდან რეზერვი ამოწურულად სცნეს.

პარტიის რეზერვთან პარტმასობრივი მუშაობის გაუმჯობესებით ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველჰყოს პარტიაში ჩვენი ქვეყნის ერთგულ ადამიანთა მიღება.

ზ. მელიქია.

ორდენოსანი ამხ. შ. მარდალეიშვილი მიღებულია პარტიაში

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის დადგენილება ჩაის ფაბრიკების ინსპექტორ-ტექნოლოგის შალვა ფილიპეს-ძე მარდალეიშვილის საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღების შესახებ.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. შ. ფ. მარდალეიშვილი ცნობილია, როგორც გამომგონებელი. მისმა გამოგონებამ — ჩაის ხელოვნურმა ჭკნობამ დიდად გაზარდა ჩაის ფაბრიკაში პროდუქციის გამოშვების ხარისხი.

გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადებათა დარგში მოპოვებული წარმატებისათვის ამხ. მარდალეიშვილი საკავშირო ცაკის მიერ დაჯილდოვებულია უმაღლესი ჯილდოთი „საპატიო ნიშნის" ორდენით და სხვა ძვირფასი საჩუქრებით.

ქ. დოგორჯგინიძე.

ი. ვიქტოროვი

ფაშისტური იტალიის შავი დღეები

როდესაც 1938 წ. თებერვალში ჰიტლერმა ბერხტესგადენში გაიწვია ავსტრიის ყოფილი კანცლერი შუშნიგი, ავსტრიის ერთმა გამოჩენილმა მოხელემ, მიუხედავად გაწვევის საიდუმლო ხასიათისა, მოახერხა შეეტყობინებინა ეს იტალიის საელჩოსათვის ვენაში. მუსოლინის დაუყოვნებლივ აცნობეს ყველაფერი, რაც მოხდა. რაკი მუსოლინი მიხვდა, რომ იგი მოატყუა თავისმა „გერმანელმა მეგობარმა", მან იტალიის ელჩს ლონდონში გრანდის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ავალებდა მას ეცნობებინა ბრიტანეთის პრემიერისათვის, რომ ინგლის-იტალიის მოლაპარაკება უნდა დაიწყოს „ახლა ან არასოდესო".

ამ ულტიმატუმმა მაშინ ვერ გასჭრა. ინგლის-იტალიის მოლაპარაკება უფრო გვიან დაიწყო. მაგრამ ფორმულა „ახლა ან არასოდეს" დამახასიათებელი იყო იმ ნერვიულობისა და ავადმყოფური აღგზნებულობისა, რომელიც საერთოდ მოსდგამს იტალიის პოლიტიკას. ამჟამადაც იტალიის დიპლომატია ამ აღგზნებულობის ახალ შეტევას განიცდის. იტალიის პრესა კვლავ ცეცხლს აფრქვევს ინგლისის წინააღმდეგ, რომელთანაც, როგორც ცნობილია, ფაშისტური იტალია „მეგობრულ" ურთიერთობაშია. უნდა ვიფიქროთ, რომ არა რაიმე სხვა გრძნობის, არამედ მხოლოდ გარდუვალი „მეგობრობის" გრძნობის გავლენით სძირავენ იტალიელი პირატები ინგლისის გემებს ათეულობით, ხოცავენ ბრიტანელ მეზღვაურებს, აწყობენ „არასასიამოვნო ინცინდენტებს" პალესტინაში.

რატომ ნერვიულობს იტალიის დიპლომატია? მიხვედრა ძნელი არ არის. თითქმის ოთხი თვე გავიდა ინგლის-იტალიის შეთანხმების დადების მომენტიდან, მაგრამ იგი დღემდე გამოკიდებულია ჰაერში, როგორც ყურძენი, რომელიც მეტისმეტად მიმზიდველია, მაგრამ... მიუწვდომელია! მუსოლინი უკვე ანგარიშობდა, იტალიის ფინანსების რა ხვრელებს ამოავსებდა ლონდონში მიღებული ოცდაათი მილიონი გირვანქა სტერლინგი სესხით. მაგრამ სესხი არ ჩანს, შეთანხმება ძალაში არ შედის, ვინაიდან მუსოლინის მკვეხარა ვარაუდები რესპუბლიკური ესპანეთის განადგურების შესახებ ჩაიფუშა, და აი „დუჩე" უკმაყოფილოა. ფაშისტური მთავრობა თვითმფრინავებსა და ტანკებს ჰგზავნის ესპანეთში, ვეებერთელა თანხებს ხარჯავს ინტერვენციაზე, სიკვდილს სთესავს ესპანეთის მშვიდობიან მოსახლეობაში, ანადგურებს ესპანეთის ქალაქებს. ესპანეთის ქალებსა და ბავშვებზე იყრის ჯავრს იტალიის ფაშიზმი. იგი მძვინვარებს იმიტომ, რომ ფაშისტურ დიქტატურას, რომელიც შავ დღეებს განიცდის, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება.

აბისინიაში ყაჩაღურ ავანტიურაზე იტალიის ფაშიზმმა მილიარდობით ლირები დახარჯა. რა დადებითი შედეგი მოჰყვა ამ ავანტიურას? იგი ნულს უდრის. შვეიცარიის რეაქციული გაზეთი „ნოიე ციურხერ ცეიტუნგიც" კი, რომელიც ცენტრალურ ევროპაში იტალიის ფაშიზმის თითქმის მთავარი რუპორის როლს თამაშობს, ფრიად პესიმისტურად აფასებს აბისინიის ექსპლოატაციის პერსპექტივებს. ამასწინათ გაზეთმა დაბეჭდა სერია სტატიებისა იტალიის ფაშიზმის ეკონომიური პოლიტიკის შედეგების შესახებ. ეს სტატიები დაწერილია იტალიისათვის ფრიად კეთილმოსურნე კილოზე. და მაინც ავტორი იძულებულია, მართალია ფრთხილი გამოთქმებით, აღიაროს, რომ აბისინიაში იტალიის ფაშიზმი გადაულახავ სიძნელეებს წააწყდა. ავტორი სწერს:

„ამ საზრუნავს (სურსათისა და ნედლეულის შესახებ.—ი. ვ.) სულ უფრო და უფრო დიდი მასშტაბით უერთდება პრობლემა ახალი აბისინიის იმპერიისა, რომელიც ჯერ კიდევ ეკონომიურ სიცარიელეს წარმოადგენს და მაცოცხლებელ შეშხაპუნებას მოითხოვს მეტროპოლიისაგან. ამ ვეებერთელა სახელმწიფოს საარსებო მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა, იმ კაპიტალების დაბანდება, რომლებიც მხოლოდ ძალიან ნელი ტემპით დაიწყებენ ნაყოფის გამოღებას და პროცენტების მოცემას, წარმოადგენს შემდგომ და თითქოს გადაუჭრელ ამოცანას. და ამ ამოცანის გადაჭრას ნედლეულითა და კაპიტალებით ღარიბი მეტროპოლია აპირებს თავისი საკუთარი ძალებით, მსოფლიო მეურნეობისა და მის დაწესებულებებისათვის მიუმართავად".

ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ აბისინელი ხალხი არ დამორჩილებია დამპყრობელებს. განა აბისინიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისათვის სცალიათ იტალიელ ფაშისტებს, როდესაც ამ ქვეყანაში აჯანყება ბობოქრობს!

მუსოლინის ავანტიურა ესპანეთში ახალ მილიარდებს მოითხოვს, ხაზინა კი ცარიელდება. ბიუჯეტის დეფიციტები ასტრონომიულ ციფრებს აღწევს. 1935-36 წ. ბიუჯეტის დეფიციტმა, „ეროპ ნუველის" ცნობებით, 13,1 მილიარდი ლირა შეადგინა, 1936-37 წ.—17,9 მილიარდი ლირა. 1937-38 წლის შედეგები, ეტყობა, უკეთესი არ იქნება. თვით იტალიაში სულ უფრო და უფრო იგრძნობა მიწისქვეშა ბიძგები ხალხის უკმაყოფილებისა. ხალხის მასებში გულისწყრომა ძლიერდება, იმიტომ რომ უკვე სამი წელიწადია ფაშიზმი ღვრის მის სისხლს ბრძოლის ველებზე და იმიტომ, რომ ხალხი შიმშილობს. იტალიის მრეწველობას, რომ ნედლეული არა აქვს, ქვეყნის ფინანსები რომ მოშლილია, საგარეო ვაჭრობა რომ ეცემა, ქვეყანა რომ ველურდება ფაშიზმის უღელ ქვეშ, ამის შემჩნევა რიგითს მშრომელს ყოველთვის როდი შეუძლია. მაგრამ სიძვირეს, გაჭირვებას, შიმშილს — ამას ყველა გრძნობს და მოახლოვებული შიმშილი სწორედ ამიტომ მკაფიოდ უჩვენებს მასებს ფაშიზმის ნამდვილ სახეს. უკვე მრავალი წელია, რაც ქრონიკულად არასაკმაოდ იკვებება იტალიის მშრომელი მოსახლეობა. ლაპარაკია არა ცხიმეულზე, არა ხორცზე,—არ ჰყოფნით პური! წლითი-წლობით. ამას ამბობენ საკუთარი თვალით მნახველნი. ამას მოწმობენ და მეტყველებენ — ფრიად მჭერმეტყველურადაც — მშრალი სტატისტიკური მონაცემები. ლონდონის ჟურნალ „ეკონომისტის" გამოანგარიშებით, ხორბლის მინიმალური ყოველწლიური მოხმარება 85 მილიონ კვინტალს*) უნდა შეადგენდეს. ეს ის მინიმუმია, რომელიც, მშრომელთა ნახევრადმშიერი არსებობის პირობით, საშუალებას აძლევს იტალიას ხელი აიღოს უცხოეთის ხორბლის შეტანაზე.

მაგრამ პრაქტიკაში რა გამოდის? 1934 წელს ხორბლის მოსავალმა 63 მილიონი კვინტალი შეადგინა. შეტანილ იქნა 4,7 მილიონი კვინტალი. სულ—67,7 მილიონი. მაშასადამე, საშიმშილო მინიმუმს 17,3 მილიონი კვინტალი დააკლდა. 1935 წელს მოსავალი უკეთესი იყო: აღებულ იქნა 77 მილიონი კვინტალი და შეტანილ იქნა 5,5 მილიონი. საშიმშილო მინიმუმს აკლდა 2,5 მილიონი კვინტალი. 1936 წელს კვლავ მოუსავლიანობა იყო: აღებულ იქნა 61 მილიონი კვინტალი, შეტანილ იქნა 5,3 მილიონი. მინიმუმს დააკლდა 18,7 მილიონი კვინტალი! 1937 წელს ხორბლის მოსავალმა, იტალიური (უეჭველად გაზვიადებული) ცნობებით შეადგინა 80 მილიონი კვინტალი. ამ დროისათვის იტალიის ფინანსები, როგორც ცნობილია, უკვე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. შეტანილ იქნა 1,7 მილიონი კვინტალი ხორბალი. ეს ნიშნავს იმას, რომ მინიმუმს 2,3 მილიონის კვინტალი დააკლდა.

ამრიგად, ოთხი წლის განმავლობაში—1934-დან 1937-მდე ჩათვლით—იტალიის ხალხის პურზე მოთხოვნილების საშიმშილო მინიმუმი ერთხელაც არ ყოფილა დაკმაყოფილებული. პურის ბალანსში შეიქმნა ვეებერთელა ხარვეზი, რომელიც 40,8 მილიონ კვინტალს უდრის, ესე-იგი წლიური მოხმარების თითქმის ნახევარს. მაგრამ არა მარტო პურის საქმეა ცუდად. წლითი-წლობით ეცემა კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის, შაქრის, ყავის, ხორცის მოხმარება.

როგორია პერსპექტივები 1938 წლისათვის? უარესი, ვიდრე ყველა წინა წლებში! მოსავალი წელს ძალიან ცუდია. სოფლის გაღატაკებამ გამოიწვია ის, რომ მას განსაკუთრებით ადვილად სჯაბნიან სტიქიური უბედურებანი. ამით აიხსნება კატასტროფიული შედეგები გვალვისა, რომელთანაც ბრძოლა ფაშისტურ აგრონომიულ „მეცნიერებას" არ ძალუძს. წინასწარი იტალიური გამოანგარიშებით მოსავალი 60 მილიონ კვინტალს არ გადააჭარბებს. „ეკონომისტს" ეს ციფრიც გაზვიადებულად მიაჩნია. მაგრამ ამ ციფრსაც რომ დავუჯეროთ, ხორბლის ნაკლებობა 25 მილიონ კვინტალს შეადგენს. შეუძლია თუ არა იტალიის მთავრობას ამ რაოდენობით შეიტანოს ხორბალი, რომელშიაც სრული ღირებულების ვალუტა უნდა გადაიხადოს? რა თქმა უნდა, არ შეუძლია: იტალიის ხაზინა ცარიელია. პერსპექტივაშია არა მარტო არასაკმაო კვება. იტალიას ნამდვილი შიმშილობის შავი ღრუბელი აწვება.

ასეთია ყბადაღებული „ავტარკიის" თვალსაჩინო შედეგები. ეს არის სრული ჩაშლა, სრული გაკოტრება „კამპანიისა პურისათვის", რომელიც ესოდენი ხმაურით გამოაცხადა მუსოლინიმ. როდესაც მუსოლინიმ წამოაყენა „იტალიის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის" ლოზუნგი, მან განაცხადა: „იტალიას შეუძლია და უნდა მიაღწიოს ეკონომიური ავტონომიის მაქსიმალურ... დონეს როგორც მშვიდობიან დროს, ისე უმთავრესად ომის შემთხვევისათვისო".

აი სწორედ ეს „ომის შემთხვევა", სხვანაირად რომ ვთქვათ ომისათვის მზადება, არის იმ პოლიტიკის წყარო, რომელიც შიმშილს განუმზადებს იტალიელ ხალხს. ფაშიზმმა მთელი თავისი პოლიტიკით გააჩანაგა იტალიის ხალხი, ამ ქვეყანაში გაბატონებულია საშინელი სილატაკე. რაც შეეხება ეკონომიურ დამოუკიდებლობას, იტალია წინანდებურად შორსაა მისგან.

ფაშისტთა აგრონომები ამტკიცებდნენ, რომ ნათესი ფართობის სათანადო გადიდებით და ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში შეიძლება მივაღწიოთ 100 მილიონ კვინტალ ხორბლის მოსავლის მიღებასო. ფაქტებმა გამოააშკარავეს ფაშისტ დემაგოგთა ფუჭი მკვეხარობა: „გიგანტურ ღონისძიებათა" შედეგად იტალიის ნათესი ფართობი 1918 წელთან შედარებით გაიზარდა სულ რაღაც... 10 პროცენტით! ამ მიღწევის „განსაცვიფრებელი" ეფექტი ჩანს ზემოთმოყვანილი ციფრებიდან არასაკმაო კვების მძიმე წლებისა და მომავალი შიმშილის შესახებ.

მაგრამ „არა პურითა ერთითა ცოცხალ არს კაცი", ხოლო მით უმეტეს არმია, რომელიც უკვე 3 წელიწადია ომობს. საჭიროა პირუტყვი, საჭიროა ცხენები, ძროხები, ღორები და სხვ. პირუტყვს საკვები სჭირდება. ხოლო საკვები რომ გქონდეს, საჭიროა გაადიდო საკვები ბალახების ნათესი ფართობი. მაგრამ როგორ უნდა შეახამო ეს ხორბლის ნათესი ფართობის გადიდებასთან? გამოდის, როგორც „ეკონომისტი" სწერს, მოჯადოებული წრე.

„სავსებით ზომიერ ნაციონალურ საჭიროებათა დასაფარავად, — აღნიშნავს „ეკონომისტი",—პირუტყვის სულადობა გადიდებულ უნდა იქნას სულ მცირე 10 პროცენტით. ხოლო თუ ამ გადიდებას საკმარისად ჩავთვლით, ამავე ზომით საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას პირუტყვის ხარისხი, რომელიც ამჟამად ძალიან დაბალია. ეს მიზანი, არ შეიძლება განხორციელებულ იქნას, თუ არ გადიდდა საკვები ბალახების ნათესი ფართობი, თუ გაწეულ არ იქნა მრავალწლოვანი მუშაობა ნიადაგის გასაუმჯობესებლად და თუ გაღებულ არ იქნა დიდი ხარჯები. ხოლო საკვები ბალახების ნათესი ფართობის გადიდება უპირისპირდება ხორბლის ნათესი ფართობის გადიდებას. სწორედ ასევე უპირისპირდება ეს ათეული სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების გეგმებს".

„ეკონომისტი" ღვარძლიანად დასცინის ზოგიერთ ამ გეგმას. ასე, მაგალითად, ფაშისტ „მეგემავთა" გამოანგარიშებით იტალიას ზეითუნის ზეთით სრული თვითმომარაგების მისაღწევად კიდევ ესაჭიროება 50 მილიონი ზეთისხილის ხე. ხოლო ფაშისტები წელიწადში აპირებენ 500 ათასი ხის დარგვას. ასეთი გამოანგარიშებით ზეითუნის ზეთით თვითმომარაგება განხორციელებული იქნება სრული 100 წლის შემდეგ!

ფაშისტურმა იტალიამ ვერ შესძლო პირუტყვის სულადობის გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. თვით იტალიური პრესა აღიარებს, რომ იტალიაში ადგილი აქვს პირუტყვის სულადობის კატასტროფულ დაცემას. რომის ჟურნალ „რევიუ ენტერნასიონალ დ,აგრიკულტურში" გამოქვეყნებული ცნობებით, 1926-დან 1937 წლამდე პირუტყვის სულადობა იტალიაში შემცირდა 5,5 მილიონზე მეტი სულით, ესე-იგი დაახლოვებით 27 პროცენტით.

იტალიის ფაშიზმის ლიდერებს ძალიან უყვართ რომის კეისართა ტოგაში გამოწყობა, სინამდვილეში კი ეს ტოგა კალთებმოკვეცილ ჯუბას უფრო ჰგავს. გასაკვირველი არ არის, რომ ინგლისური პრესა სერიოზულად არ სთვლის იტალიის ფაშიზმის „ბრძოლას" ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და მიაჩნია ის მხოლოდ ცუდად შენიღბულ მზადებად ომისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც პერსპექტივები ფრიად შეზღუდულია.

„თუ ავტარკიაში,—გესლიანად ენამახვილობს „ეკონომისტი", — ჰგულისხმობენ მხოლოდ დროებითს ეკონომიურ დამოუკიდებლობას ომის პერიოდისათვის, მაშინ... თუ გულდასმით და თავგამოდებით დააგროვებენ მარაგს და თუ იტალიელი ხალხი უკიდურესად მაგრად შემოიჭერს მუცელზე ქამარს, ქვეყანა შესძლებს ატანას ძალიან... მოკლე ხანს. და ომი ძალიან ხანმოკლე უნდა იყოს".

ავტარკია გაკოტრდა. იტალიის ფაშიზმი, შეიძლება ითქვას, თანახმაა დამოკიდებული იყოს გარე სამყაროზე უმთავრესად როგორც მოვალე, რომელსაც მისცეს კრედიტები, სესხი. მაგრამ მისი თანხმობა თურმე სავსებით არ კმარა! აქედან წარმოსდგება მისი გააფთრება, აქედანაა მისი გატაცება ახალი ავანტიურებით, გაძლიერებული ზეგავლენა ინგლისზე იმ მიზნით, რომ მიაღწიოს პირდაპირ დახმარებას რესპუბლიკური ესპანეთის წაჩხრობის ცდებში, აქედანვე წარმოსდგება იტალიაში ტერორის გაძლიერება „რასობრივი თეორიის" განხორციელების დროშით. პოგრომშჩიკები თავისი ქვეყნის გარეთ და შიგნით— ასეთია იტალიის ფაშიზმის სახე.

რა თქმა უნდა, მუსოლინის შეეძლო მიემართა თავისი მოკავშირეებისათვის აგრესიული ბლოკიდან — იაპონიისა და გერმანიისათვის მაგრამ. როგორც ამასწინათ გამოირკვა. მიუხედავად დიდი ხმაურისა, იტალია-იაპონიის სავაჭრო ურთიერთობაში ბევრი რამ არადამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ფინანსიურ ან სხვა რაიმე ეკონომიურ დახმარებას, ერთადერთი, რის შეთავაზებაც შეუძლია იაპონიას, რომელსაც 20-მილიარდიანი დავალიანება აქვს, ეს არის... დაუფარავი ვალები! არც გერმანიის ფაშიზმს შეუძლია დაეხმაროს თავის იტალიელ თანამოძმეს.

ფაშისტურმა დიქტატურამ იტალია არაქათის გამოლევამდე მიიყვანა და შიმშილის საზღვარზე დააყენა იგი.

---

*) კვინტალი = 100 კილოგრამს.

რესპუბლიკური ესპანეთი გმირულად ებრძვის ფაშისტ დამპყრობლებს

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 18 აგვისტოს ოფიციალური ცნობით, რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა და ინტერვენტთა რამდენიმე გააფთრებული შეტევა, მიმართული რესპუბლიკელთა იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც იმყოფებიან განდესთან პანდოლის მაღლობებზე. ფაშისტებმა დიდი ზარალი ნახეს. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ტყვეები და დიდძალი სამხედრო საჭურველი. მდინარე კანალეტას მიდამოებში (განდესის სამხრეთით) ფაშისტებმა მოახერხეს ორი მაღლობის დაპყრობა.

ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, პანდოლის მთებში (განდესის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მეამბოხეები და ინტერვენტები უკვე თხუთმეტ დღეზე მეტია, რაც უშედეგოდ უტევენ რესპუბლიკელთა პოზიციებს. ამ სექტორში ფაშისტებს თანმიმდევრობით, ზედიზედ გამოჰყავდათ სამოქმედოდ თავისი საუკეთესო ნაწილები და ყველა ეს ნაწილები გამოდიოდა მწყობრიდან და ნადგურდებოდა რესპუბლიკელთა ცეცხლით. გამორკვეულია, რომ უკანასკნელი ექვსი დღის განმავლობაში მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა დაჰკარგეს აქ 20 ათასზე მეტი კაცი—მოკლულები და დაჭრილები. სრულიად განადგურებულ იქნა მეამბოხეთა მეოთხე ნავარის დივიზია და მაროკოელთა რამდენიმე დიდი შერჩეული რეგულარული ნაწილი. რესპუბლიკელთა ჯარის სარდლობა ებროზე განდესთან მომხდარ ბრძოლას ახასიათებს როგორც „მტრის ცოცხალი ძალის ნამდვილ მოსპობას“.

ლევანტის ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარმა მოიგერია მეამბოხეთა იერიშები 1083 და 1420 მაღლობებზე მანსანერის სექტორში.

ცენტრალური ფრონტი

ვილიავერდის რაიონში (მადრიდის სამხრეთით) მეამბოხეებმა ააფეთქეს ნაღმი, რომელმაც რესპუბლიკელებს მაინც ვერაფერი ზიანი ვერ მიაყენა.

სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

17 აგვისტოს, ღამით, ფაშისტთა თვითმფრინავები ბარსელონას მოუახლოვდნენ, მაგრამ მაშინვე მიიმალნენ, რაკი დაინახეს, რომ პატრულობდნენ რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლები. 18 აგვისტოს, დილით, ერთმა იტალიელთა ჰიდროთვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა ხერონის პროვინციაში სანაპირო პუნქტ ბლანესს.

ფრონტის ესტრემადურის უბანში რესპუბლიკელთა ჯარმა წინ წაიწია სერსა კაპილიას მიდამოებში (მდინარე სუხარზე) და უკუაგდო აქ ფაშისტები, რომლებიც შეტევას აწარმოებდნენ ავიაციისა და ტანკების დახმარებით. მდინარე სუხარის სათავესთან ინტერვენტების ნაწილებმა ის-ის იყო ხელთ იგდეს ერთერთი სიმაღლე, რომელიც გზის ახლოს, ბელალკასარისა და კაბეს დელ ბუეის შუა იმყოფება, მაგრამ შემდეგ ეს სიმაღლე რესპუბლიკელთა კონტრშეტევით დაბრუნებულ იქნა; ამასთანავე, რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ტყვეებიც. რესპუბლიკელებმა უკუაგდეს აგრეთვე ფაშისტთა იერიში კაბეს დელ ბუეის სექტორში.

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 19 აგვისტო (საკდესი). სუდეტელ გერმანელთა პარტიის დელეგაციის მეთაურის კუნდტის საპასუხო დეკლარაცია იმ თათბირზე, რომელიც სამი დღის წინათ მოხდა ჰენლაინელებსა და მთავრობას შორის, და ინგლისის მრჩეველის ლორდ რენსიმენის შეხვედრა ჰენლაინთან მოქცეულია ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში.

ლორდი რენსიმენი თავისი ცოლისა და მისიის ყველა თანამშრომლის თანხლებით ჩავიდა ჰოგენლოეს სასახლეში დილის 11 საათზე; მას საპატიო ყარაულით შეხვდნენ ჰენლაინელი მოიერიშენი და ჰენლაინელთა გროვა, რომლებმაც სალამი მისცეს მას ხელის მაღლა აწევით (მისალმების ჰიტლერული ნიშანი). ლორდ რენსიმენის საუბარი ჰენლაინსა და მის ხელქვეითებთან—დეპუტატ ფრანკოსა და კუნდტთან 5 საათს გაგრძელდა. რამოდენიმე ხანს ჰენლაინი და რენსიმენი მარტო საუბრობდნენ. ჰენლაინისა და რენსიმენის შეხვედრის ადგილას მოსული ჟურნალისტების შეკითხვაზე რენსიმენის მდივანმა უპასუხა, რომ საუბრის შინაარსი შენახული იქნება საიდუმლოდ.

ჰენლაინთან საუბრის შემდეგ რენსიმენი გაემგზავრა პრაღაში, სადაც მან გუშინ ბანკეტი მოაწყო დიპლომატიური კორპუსისათვის. ბანკეტს დაესწრნენ: პოლონეთის ელჩი, გერმანიის, იტალიის, რუმინეთისა და საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულები. დღეს ლორდი რენსიმენი კვლავ შეხვდა გოჯას.

ჰენლაინელთა დეკლარაცია და რენსიმენის მათთან ლაქუცი დიდ აღშფოთებას იწვევენ ჩეხოსლოვაკელ ხალხში. გუშინ მთელს რესპუბლიკაში კვლავ შესდგა მიტინგები, კრებები და დემონსტრაციები, რომლებმაც ნათლად გამოხატეს ხალხის ნებისყოფა — შეწყვეტილ იქნას ჰენლაინელთა პროვოკაციები, დამყარებულ იქნას მტკიცე რესპუბლიკური წესრიგი სუდეტელ გერმანელთა ოლქში და განხორციელებულ იქნას ეროვნებათა კოდექსი, მიუხედავად იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მასთან ჰენლაინელებსა და ინგლისელ მრჩეველებს. შუა და დასავლეთი ჩეხეთის 17 მუნიციპალიტეტმა ასეთი ხასიათის მოთხოვნებით მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ახალი დათმობა ჰენლაინელებისადმი

პრაღა, 19 აგვისტო (საკდესი). ლორდ რენსიმენის სამდივნო აქვეყნებს ცნობას, რომ დღეს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ახალ დათმობას წარმოადგენს ჰენლაინელთა პარტიისადმი (ჰიტლერის აგენტურა ჩეხოსლოვაკიაში). ამ გადაწყვეტილების თანახმად, უახლოესი 14 დღის განმავლობაში ფოსტისა და ტელეგრაფის განყოფილებათა უფროსების თანამდებობაზე სუდეტის ოლქის საოლქო ცენტრებში—პოდმოკლიში, აშში, გაიდაში, ჟატეცში, ფალკნოვში, რუმბურკსა და მთელ რიგ სხვა პუნქტებში უფროსების მოადგილეთა თანამდებობაზე დანიშნული იქნებიან გერმანული ეროვნების პირნი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით აშისა (ჰენლაინის რეზიდენცია) და ტრუტნოვის საოლქო ადმინისტრატიულ სამმართველოთა უფროსების თანამდებობაზე დანიშნული იქნებიან აგრეთვე გერმანელები. ასეთივე დანიშვნები გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტროს ხაზით (კერძოდ, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ქალაქ ხებეში), გზათა სამინისტროს და სხვათა ხაზით.

თუმცა ოფიციალურად ამის შესახებ არაფერს არ იტყობინებიან, მაგრამ საქმის კურსში მყოფ წრეებში ფიქრობენ, რომ კანდიდატები ზემოჩამოთვლილ თანამდებობებზე შეთანხმებული იქნებიან ჰენლაინის პარტიის ხელმძღვანელობასთან.

აღნიშნულ კომუნიკეში ლორდი რენსიმენი მიესალმება ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და უწოდებს მას „ძვირფასი წვლილის შეტანას მთავრობასა და ჰენლაინის პარტიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში“.

რენსიმენის შეხვედრა ჰენლაინთან

პრაღა, 19 აგვისტო (საკდესი). გუშინ ლორდ რენსიმენი თავისი მისიის წევრების თანხლებით პრაღიდან ქირკოვში (დასავლეთი ჩეხეთი) გაემგზავრა სტუმრად პრინც მაქს ჰოგენლოესთან. გამგზავრებას საიდუმლოდ ინახავდნენ. გამოირკვა, რომ ჰოგენლოეს სასახლეში მოხდა რენსიმენის შეხვედრა ჰენლაინთან. საქმესთან გაცნობილი წყაროები გადმოგვცემენ, რომ რენსიმენმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ მიიწვია ჰენლაინი თავისთან. უკანასკნელმა უარი განაცხადა პრაღაში გამგზავრებაზე და გამოგზავნა ცნობა, რომ მზადაა მიიღოს რენსიმენი ქალაქ აშეში. ლორდმა რამდენიმე დღე იცადა და შემდეგ თვითონ გაემგზავრა ჰენლაინთან.

უცხოეთის ქრონიკა

● გერმანიის არმიიდან ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გრძელდება გერმანიის არმიის ჯარისკაცთა დეზერტირობა. უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიაში სულ ჩასულია 130 დეზერტირი.

● ჰავასის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნეგრინი ციურიხს (შვეიცარია) გაემგზავრა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ნეგრინი მადრიდის უნივერსიტეტის ბიოლოგიის პროფესორია.

● გერმანიიდან ჰენლაინელთა (სუდეტელ გერმანელთა ფაშისტური პარტია) ორგანიზაციების განკარგულებაში კონტრაბანდად იგზავნება იარაღი. მთელ რიგ ადგილებში ჰენლაინელთა მოიერიშე რაზმებს აღმოაჩნდათ არა მარტო შაშხანები, არამედ ტყვიამფრქვევებიც.

პარტიზანთა მოქმედება ცენტრალურ ჩინეთში

შანხაი, 19 აგვისტო (საკდესი). შანხაიში საომარი მოქმედების დაწყების წლისთავი აღინიშნა ჩინეთის პარტიზანთა აქტიურობის გაძლიერებით იმ რაიონებში, რომელიც უშუალოდ ეკვრის შანხაის. 14 აგვისტოს პარტიზანთა რაზმი სამასი კაცის შემადგენლობით, ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული, თავს დაესხა იაპონელთა აეროდრომს ხუნჯაოში (შანხაის მახლობლად), აეროდრომის მოდარაჯეთა ნაწილი მოსპო, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანა. შემდეგ პარტიზანები სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გაემართნენ. გაძლიერებული ბრძოლა სწარმოებს პუტუნის რაიონში (შანხაის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანი). ბრძოლის შედეგად პარტიზანელებმა აიღეს ჩუანშა და ნანხუეი (შანხაის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ჩუანშას მახლობლად მოკლულ იქნა იაპონელთა 100 ჯარისკაცი. შანხაისა და ჩუანშას შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. პარტიზანები აქტიურ ოპერაციებს აწარმოებენ ნანკინ-შანხაის ხაზის გასწვრივ.

13 აგვისტოს სუჯოუს თავს დაესხა ჩინეთის 9 თვითმფრინავი, რომლებმაც ფურცლები ჩამოჰყარეს. პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა იაპონელთა აეროდრომს სუჯოუს მახლობლად, დაამსხვრია სახელოსნოები და გაანადგურა იაპონელთა რამდენიმე თვითმფრინავი. ძიადინის მახლობლად შანხაი-უსის გზატკეცილზე სამსაათიანი ბრძოლა მოხდა იაპონელთა რაზმებსა და პარტიზანთა შორის. იაპონელებმა დიდი ზარალი განიცადეს. პარტიზანებმა დაანგრიეს მთელი რიგი ხიდები და გზები.

ნანკინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ლიშუის, ლიანისა და ისიანის მახლობლად პარტიზანები აქტიურ საომარ მოქმედებას ეწევიან. უსი-ისინის გზატკეცილი პარტიზანთა კონტროლის ქვეშ იმყოფება. ნანკინ-ხანჯოუს გზატკეცილზე მიმოსვლა გამუდმებით სწყდება. ამ დღეებში ამ ხაზზე ძინშანის მახლობლად პარტიზანების მიერ მოკლულია იაპონელთა 150 ჯარისკაცი. ხანჯოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა სწარმოებს ხაინინის, ხაიანისა და ძიასინის მახლობლად. პარტიზანებმა ამ ქალაქების ახლოს რამდენიმე სოფელი აიღეს. გაზეთ „ვენვეიბაოს“ ცნობების მიხედვით, 13 აგვისტოს ჩინეთის რეგულარული ჯარის ნაწილმა მდინარე ძიანტამი გადალახა ხანჯოუსა და ფუიანს შორის.

10 კილომეტრის მანძილზე ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით რაზმმა დიდძალი სამხედრო საჭურველი და ამუნიცია წაართვა იაპონელებს. პარტიზანებსა და იაპონელთა ჯარს შორის ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით, ფუიანსა და იუიხანს შუა შეტაკებებია. გაზეთი „შანხაი ნიპო“ იძულებულია სცნოს პარტიზანთა აქტივობა ხანჯოუს მახლობლად. გაზეთი სწერს, რომ პარტიზანები შეიარაღებული არიან ტყვიამფრქვევებითა და სასანგრო მორტირებით. პრესის ცნობით, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში შანხაისა და ხანჯოუს შუა მოკლულია 1.500 იაპონელი ჯარისკაცი. იაპონელებმა ხანჯოუს რაიონში გაგზავნეს მაშველი ძალები 5 ათასი ჯარისკაცის რაოდენობით, 8 ტანკი, არტილერია და ავიაცია.

უხუს რაიონში ჩინელთა რაზმებმა დაიპყრეს სუნძიაოპუ და წინ მიიწევენ ვანჯისაკენ (უხუს სამხრეთ-დასავლეთით). 15 აგვისტოს მათ იაპონელთაგან დაიბრუნეს ტიანჩუტანი.



ი. რეპინი

„ბურლაკი“—ეტიუდი. 1870 წ.

ფოტო-რეპროდუქცია რ. აკოფოვისა

* * *

ტრეტიაკოვის გალერიის სურათების გამოფენა თბილისში

გუშინ, საღამოს საქართველოს საბჭოთა მხატვრების სურათების გალერიაში გაიხსნა XVIII, XIX და XX საუკუნეების რუს მხატვართა გამოფენა, რომელიც თბილისში მოაწყო მოსკოვის სახელმწიფო ტრეტიაკოვის გალერიამ.

გამოფენაზე წარმოდგენილია რუსი მხატვრების: ლევიცკის, ტროპინინის, ბოროვიკოვსკის, რეპინის, კარამსკოის, სეროვის, ივანოვის, პოპოვის, ვასნეცოვის, გერმაშევის, ელერტის, კასატკინის, გრიბკოვის, სოროკინის, კოშელიოვის, კონდრატენკოს და სხვ. ორასამდე სურათი.

გამოფენას გალერიის სამივე დიდი დარბაზი უჭირავს.

გამოფენა ღია იქნება ყოველდღე, დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე და საღამოს 7 საათიდან ღამის 11 ს. და 30 წუთამდე.

ტრეტიაკოვის გალერიის სურათების გამოფენა გაგრძელდება სამ თვეს.

სწარმოებს გამოფენის კოლექტიურად მნახველთა წინასწარი ჩაწერა.

ახალი საცხოვრებელი სახლები

წლითი-წლობით მატულობს თბილისის საცხოვრებელი ფართობი. იზრდება დიდი სახლების რაოდენობა.

ამ ახლო ხანში დაიწყო დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კომინტერნის ქუჩაზე. ამ სახლში დაპროექტებულია 85 ბინა, რომლებიც შესდგება ერთი, ორი და სამი ოთახისაგან. მთელი პირველი სართული სავაჭრო შენობებს დაეთმობა, რომლებშიაც მოთავსდება საჩვენებელი მაღაზიები: აღმოსავლური ტკბილეულის, ყვავილების მაღაზია, სასაუზმო და სხვები. ამ შენობის მოცულობა 40 ათასი კუბიკური მეტრი იქნება.

ტრესტ „სახპროექტში“ მთავრდება პროექტის შედგენა საცხოვრებელი ოთხსართულიანი სახლებისა საბჭოს ქუჩაზე (ღირებულებით დაახლოებით 900 ათასი მანეთი) და პლეხანოვის პროსპექტზე (600 ათასი მანეთი). 35 ათასი კუბ. მეტრის მოცულობის დიდი საცხოვრებელი სახლის აშენება დაპროექტებულია ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო შენობის მახლობლად.

ამ სახლის მშენებლობის ღირებულებაა სამი მილიონი მანეთი.

მოკლე ხანში დაიწყება ძველი სახლების ნგრევა ლენინის ქუჩაზე. აქ აშენდება დიდი ხუთსართულიანი სახლი, რომელიც სამი მილიონი მანეთი დაჯდება. ეს სახლი აშენდება იმ ანგარიშით, რომ ლენინის პროსპექტი გაფართოვდეს (საქდესი).

თბილისის ოპერის გასტროლები ლენინგრადში

ლენინგრადი, 20 აგვისტო (საქ. კორ.). 21 აგვისტოს სპეციალური მატარებლით ლენინგრადში ჩამოვიდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი. თეატრთან ერთად ჩამოვიდნენ მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ა. რ. წუწუნავა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი რეჟისორი შ. ალსაბაძე, მხატვრები და სცენის მომწყობი პერსონალი, რომლებიც ამჟამად „დაისის“ დეკორაციას აწესრიგებენ.

გასტროლები დაიწყება 26 აგვისტოს ლენინგრადის კიროვის სახელობის საოპერო თეატრში. პრემიერად წავა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

ლენინგრადის საზოგადოებრივობა უდიდესი ინტერესით ხვდება თბილისის ოპერის გასტროლებს. გაზეთები თითქმის ყოველდღე აძლევენ ინფორმაციებს გასტროლების შესახებ.

ქართული ოპერის სპექტაკლები გადაცემული იქნება რადიოთი. ამასთან ერთად ჩატარდება ლექციების ციკლი ქართული ხელოვნების შესახებ. კულტურის სახლებში და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებზე მოწყობილია ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

თბილისის ოპერის თეატრის რამდენიმე სპექტაკლი გაიმართება ლენინგრადის პარტიული აქტივისა, ხელოვნების მუშაკებისა და წითელი არმიისათვის, აგრეთვე კრონშტადტის წითელდროშოვანი ბალტიელებისათვის.

ლენინგრადში ყოფნის დროს მოეწყობა თბილისის ოპერის შემოქმედებითი მუშაკების შეხვედრები ლენინგრადელ მწერლებთან, ჟურნალისტებთან და ხელოვნების სხვა მუშაკებთან.

ქართული ოპერის გასტროლებისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ კიროვის სახელობის საოპერო თეატრის სალაროებში ბილეთები უკვე წინასწარ გაყიდულია.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში

ფუნიკულორზე, ამხანაგ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ყოველდღიურად უამრავი მშრომელი ისვენებს. მაგრამ კულტურულად მოწყობისა და მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით პარკში ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. დაუმთავრებელია ორკესტრის ესტრადისა და სხვადასხვა გასართობების მოწყობა. დაცული არ არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, პარკის კიოსკები უზრუნველყოფილი არ არის საკვები პროდუქტებით, არ მუშაობს წყლის ზოგიერთი ონკანი და სხვ.

ამიტომ თბილისის საბჭომ დაავალა სათანადო ორგანიზაციებს მოკლე ხანში აღმოფხვრან პარკში არსებული ნაკლოვანებანი.

მ. ხ.

ფეხბურთი

სსრკ პირველობაზე

19 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეჯიბრება სსრკ პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ და „კრილია სოვეტოვის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — ანგარიშით 4:2.

O

ხვალ, 22 აგვისტოს ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგება მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრკ პირველობაზე. თამაშობენ მოსკოვის „პიშჩევიკისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

ახალი წიგნები

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები და ბროშურები: **ი. ბ. სტალინი** — სიტყვა უმაღლესი სკოლების მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წ. 17 მაისს; სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ; ახალი ვითარება—სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები; სოფლად მუშაობის შესახებ. აგრეთვე წიგნები: საბჭოთა საქართველო 17 წლის მანძილზე (პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა); „ჩვენი სამშობლო“ (მეორე გამოცემა).

ახლო ხანში გამოვა **მ. ი. კალინინი**—საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

შემთხვევები

პირუტყვის ფარულად დამკვლელი. მილიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა შეიპყრეს ფირი ასლან-ოღლი ბაირამოვი (შუშის ქ. № 5). ის ფარულად ყიდულობდა სხვადასხვა პირებისაგან პირუტყვს და თავის სახლში ჰკლავდა. ხორცს ჰყიდდა კერძო ბაზარზე — გადიდებულ ფასებში. ბაირამოვი წარსულშიაც რამდენჯერმე იყო პასუხისგებაში მიცემული პირუტყვის ფარულად დაკვლისა და სპეკულაციისათვის.

ბაირამოვის საქმე სასამართლოს გადაეცა.

ამინდი

19 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო მნიშვნელოვანი ცვალებადი მოღრუბლულობა. გაგრის, გუდაუთის, ფოთის, ბათუმის და სხვა სანაპირო რაიონებში ღამით მოვიდა წვიმა, ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (28 გრადუსი) აღნიშნული იყო ხულოში, ყველაზე მაღალი (31 გრადუსი)—ქუთაისში.

აღმოსავლეთ საქართველოშიაც ცვალებადი მოღრუბლულობა იყო. საღამოს ბორჯომისა და თბილისის რაიონებში მოვიდა უმნიშვნელო წვიმა, ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (23 გრადუსი) აღნიშნული იყო ბაკურიანში, ყველაზე მაღალი (37 გრადუსი)—თბილისში.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო წვიმა, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 21 გრადუსიდან ღამით 32 გრადუსამდე დღისით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

21 აგვისტოს

ალკკ კაბინეტი — ლექცია თემაზე: რუსეთის ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა. კონსულტაცია რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ვლადიმერ მაქსიმეს-ძე თოდუას და ვახტანგ დიმიტრის-ძე თოთაძეს 22 და 23 აგვისტომდე გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 21).

O

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841534, გაცემული ამავე რაიკომის მიერ მიხეილ ექვთიმეს-ძე გულედანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

O

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532052, გაცემული ამავე რაიკომის მიერ 1936 წლის 1 ოქტომბერს ისიდორე კონსტანტინეს-ძე შარაშენიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილმგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები
21 აგვისტოს ტალონი № 82
მხიარული ქვრივი
22 და 23 აგვისტოს ტალონი № 83, 84
პატარძლების ბაზრობა
დაიწყო მუდმივი ადგილების მესამე გადასახდელის მიღება.
დასაწყისი საღ. 9 საათ. 15 წუთზე

საქფილმგთის ღია ესტრადა
21 და 22 აგვისტოს
ხმოვანი კინო სურათი
„მაქსიმეს დაბრუნება“
დასაწყისი საღ. 10 საათზე.
ესტრადაზე შესვლა ბაღში შესასვლელი ბილეთებით.

ჯ. ს. კ. თბილისის სამედიცინო დების მესამე სკოლაში
1938-1939 სასწ. წელს მოსწავლეთა მიღების პირობები

კამოს სახელობის საავადმყოფოს ბაზაზე მყოფი სკოლა სახელმწიფო სამედიცინო სასწავლებელია, რომელიც ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის პერსონალს—სამედიცინო დებს. მეცადინეობა სწარმოებს საღამოს საათებში. სწავლის ვადა—2 წელი. სტიპენდიები არსებული წესის მიხედვით.

სკოლაში მიიღებიან მოქალაქენი 15 დან 35 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 7-წლედი. სავალდებულო გამოცდები: 1. ქართულ ენაში (წერითი და ზეპირი). 2. მათემატიკაში (არითმ., ალგებრა, გეომეტრია—წერითი და ზეპირი), 3. ფიზიკაში, 4. გეოგრაფიაში, 5. პოლიტცოდნაში.

სკოლაში ჩარიცხვა იწარმოებს 30 აგვისტომდე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის (ათწლედი, მუშფაკი, ტექნიკუმი) კურსდამთავრებულნი და შვიდწლედის „ფრიადზე“ დამთავრებულნი სათანადო მოწმობებით (საჭიროა დედნის წარმოდგენა) განცხადებები მიიღება სკოლის დირექტორის სახელზე 30 აგვისტომდე—დილის 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე. განცხადებასთან წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1. მოწმობა განათლების შესახებ (აუცილებლად დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი. 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი, პირადად ხელმოწერილი. გამოცხადებისას წარმოსადგენია პასპორტი. განცხადების და საბუთების გადმოგზავნა შეიძლება ფოსტით.

სამედიცინო დების სკოლის კურსდამთავრებულთ, საერთო წესის საფუძველზე, ენიჭებათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება
სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს
სკოლის კანცელარიის მისამართი: თბილისი, დიდუბე, კოოპერაციის ქ. № 11, კამოს სახელობის საავადმყოფოს შენობა.
219 სკოლის დირექცია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ბალანსი 1938 წლის 1-ლი იანვრისათვის

(ათას მანეთებში)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებები	3.797
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	2.102
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	2.636
4	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	154
5	ფულადი საშუალებები	644
6	ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	3
7	მომავალი დროის ხარჯები	19
8	ფინანსირება გეგმისგარეშე კაპიტალურ მშენებლობისა	39
9	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებები	1.146
10	ბალანსთა შორის და შინა ანგარიშსწორებანი	4
	ბალანსი	10.544

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	საწესდებო ფონდი	7.190
2	საამორტიზაციო ფონდი	14
3	სპეციალური ფონდები	224
4	რეზერვები და მომწესრიგებელი მუხლები	13
5	ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	678
6	დაგროვება მიმდინარე წლისა	2.425
	ბალანსი	10.544

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1. სხვადასხვა დანაკარგები	2	1. დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	2.320
		2. სხვა დაგროვებანი	107
დაგროვების ნაშთი	2.425		
სულ	2.427	სულ	2.427

დირექტორი **კ. გეგუჩაძე.** მთ. ბუღალტერი **ტ. სიხარულიძე.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1227 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთ. ბუღალტერი ვ. ჟუჟიანი.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოს 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიული—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40.
მშრომელთა წერილების—3—73—24; პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერებს აქ არ უბრუნებენ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68. მთავლიტი-რწმუნებული ბ—1433